


ფასი 10 კაპ.



№ 7-8 (30-31)

გ.ს. კომუნისტი-ს სალიტ.-სამხატვრო ორკიტრული დამატება

№ 7-8 (30-31)

მოგონება ლენინზე

(ციმმერვალდის კონფერენცია)

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი სიხარულით შეეგება ცნობას 1915 წლის აგვისტოში, შვეიცარიაში პირველი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის მოწვევის შესახებ და მე გამგზავნა დღევანდელ ამ კონფერენციაზე. რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დღევანდელ არჩეული იქმნა ანხ. რაკოვსკი. ჩვენ ორივეს დაგვავალეს გამოვსულიყავით ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის სახელით, რომლის მეორე კონფერენცია ცოტათი უფრო ადრე საერთაშორისო ს.დ. კონფერენციის შესახებ ცნობის მიღებამდე შესდგა ბუქარესტში.

კონფერენცია, როგორც ყველამ იცის, მოწვეული იყო ზოგიერთ შვეიცარიელ ამხანაგებს შორის სრულიად საიდუმლოთ. ერთხელ დილით ჩვენ ჩავსევს საექსკურსიო ეტლში და სიცილ-ხარხარით, მხიარული სიმღერებით, როგორც უცხოელ მოგზაურების ჯგუფი, ბერლიდან გავემგზავრეთ იმ ადგილისკენ, სადაც უნდა შემდგარიყო კონფერენცია. ეს ადგილი აღმოჩნდა პატარა სოფელი ციმმერვალდი, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ფერმისა და ცარიელი სასტუმროსაგან.

რუს დღევანდლებს ჩვენ ჩხოლოდ აქ შევხვდით. ისინი ცალ-ცალკე ჩამოვიდნენ სხვა და სხვა გზებით. ლენინი და ზინოვიევი მოვიდნენ ფეხით, მოგზაურების ჩანთებით ზურგზე.

ლენინს მე ვიცნობდი ჯერ კიდევ საერთაშორისო კონგრესებიდან შტუტგარტში და კოპენჰაგენში. მაგრამ მეორე ინტერნაციონალში მისი სახელი იმდენად არ ჩანდა პლენარის თურო ცნობილი სახელის გვერდით. რამდენათაც ლენინი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში, ის ისეთ თავისებურებას იჩენდა ამ საკითხების გაგებაში, რომელიც უნაპურად ეჩვენებოდათ და გაუგებარი იყო „მართლმორწმუნე“ სოციალ-დემოკრატებისათვის. განსაკუთრებით კი, მისი იდეები სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლის შესახებ რევოლუციაში, ისტორიულად უკვე მკვდარი და უტოპიური ბლანკიზმის აღორძინებათ მიაჩნდათ. და არა მარტო ოპორტუნისტები ეპურობოდნენ მას უარყოფითად, არამედ ინტერნაციონალის რევოლუციონური ფრთისათვისაც, რომელსაც როზა

ლიუქსემბურგ მეთაურობდა, უცხო იყო ლენინის შეხედულებები რევოლუციის ორგანიზაციაზე.

მაგრამ ლენინის საათმა უკვე დაჰკრა. დღიდან იმპერიალისტური ომის დაწყებისა, რომელმაც გამოაშფაქავე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გახრწნა, ფრაზიორობა და რევოლუციონური უფარვისობა, დაიწყო ლენინის ფიგურის ზრდა ინტერნაციონალურ ასპარეზზე. ციმმერვალდის კონფერენცია იყო პირველი საერთაშორისო შეხედურა, რომელმაც ლენინი დაგვანახა როგორც საერთაშორისო პროლეტარიტის მომავალი ბელადი.

კონფერენციაზე ჩამოსული რევოლუციონერი სოციალდემოკრატები ზიზსს უხვადებდნენ მეორე ინტერნაციონალის მოლაღატეობას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა ამ მოტალატეობის მიზეზებზე და ამიტომ არ შეეძლოთ გამოენახათ გამოსავალი არსებული კრიზისიდან. თითოეული გამოხატავდა თავის აზრს, მერყეობდა. რამდენი ორატორი იყო, იმდენი აზრი და შეხედულება არსებობდა. არ იყო მთავარი სახელმძღვანელო და გამაერთიანებელი აზრი. კონფერენცია სრული იდეური არეგ-არევის სურათს იძლეოდა.

მხოლოდ ლენინი და მისი ჯგუფი ხელდავდნენ მეორე ინტერნაციონალის გახრწნის მთელ საშინელებას. ამასთან ერთად ლენინს გამოუმუშავებული ჰქონდა უკვე იდეა ახალი რევოლუციონური ინტერნაციონალისა. მაგრამ ეს იდეა იმდენად გაბედული იყო, რომ მან შეაშინა კონფერენცია, რომლის უმრავლესობა ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალის ტრადიციებით იყო გაყენებული. და მიუხედავად უკანასკნელის ლალატისა, ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდა მისი საბოლოო გაკოტრების აზრს.

ლენინი არა თუ ხელმძღვანელობდა თავის ჯგუფს, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონფერენციაში. ის დიდის ყურადღებით უსმენდა უცხოელ დღევანდლებს, ცდილობდა შეენიშნა მათი მთავარი აზრები, განუწყვეტლივ წერილობითი ბარათებს უგზავნიდა და ცდილობდა გამოერკვია დღევანდლების პოზიცია. მაგრამ ის საშინლად ადელდებოდა, ხოლმე როცა რუსი მენშევიკები გამოვლიდნენ.

დამახასიათებელია მენშევიკებისადმი ლენინის

დამოკიდებულების საილუსტრაციოდ ერთი ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1916 წ. იანვარში ბერნში ციმმერვალდში არჩეულ საერთაშორისო სოციალისტური კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე. მე თითქო ახლა ვხედავ ამ სურათს: ლენინი აღელვებული, გაწითლებული და ვაბოროტებული, როგორც ლომი, სდგას მაგიდასთან და ზინოვიევიან და რადეკთან ერთად შუბრალეზლად, დაუზოგავად ამბილებს ორპირობას მენშევიკებისას, რომლებსაც, როგორც ის ამბობდა, საზღვარგარეთ მარტოვის სახით თავი მოაქვთ ინტერნაციონალისტებთან, რუსეთში კი სადავლ თანამშრომლობას ეწვევიან თვითმპყრობელობასთან და კაპიტალიზმთან. მარტოვი შეეცადა დაეცვა თავისი პარტია, მაგრამ მისი ეს ცდები უძღური გამოდგა ლენინისა და მისი ამხანაგების განმანადგურებელი კრიტიკის წინაშე. თავმჯდომარე გრიმი ამათი მოუწოდებდა მათ წესრიგისაკენ. ლენინის თითოეული სიტყვა ამტკიცებდა, რომ ის ღრმად და უწყვეტად არის დარწმუნებული თავის შეხედულებათა სისწორებით. აქედან წარმოსდგებოდა ის საშინელი ენერგია, ფინიანობა და სიმტკიცე, რომლითაც ის იცავდა და ატარებდა თავის შეხედულებებს.

კონფერენციაზე მე, სხვათა შორის, გლპპარაკობდი ბალკანეთის ომის გაკვეთილებზე. სიტყვის გათავების შემდეგ ჩემს მეზობლათ მჯდომმა ლენინმა შემდეგი შინაარსის ბარათი გადმომცა: „არის თუ არა საჭირო რევოლუციონური პროპაგანდის წარმოება სანგრეში“. ჩემს პასუხს სწორეთ ასეთ დამახასიათებელ კითხვაზე უნდა მიეცა ლენინისათვის საშვალეება თავისი განსაკუთრებული საზომით შევფასებინე მე. ჩემს პასუხში მე მოუყვანე მას მაგალითი ბალკანეთის ომის გამოცდილებიდან:

„როცა ჯარისკაცებმა უკმაყოფილების გამოთქმა დაიწყეს, ჩვენ მათ ცეზუნებოდით: რა გაბრაზებთ თქვენ? თქვენ ხომ გინდოდათ ომი და გვლანძღავდით ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, როცა ჩვენ ვაფრთხილებდით. ახლა ითმინეთ. ეს აძლიერებდა მათ სიძულველს ბურჟუაზიისადმი, რომელმაც მოატყუა ისინი და ჩვენთან აახლოებდა მათ“. მე არ ვიცით თუ როგორ შეაფასა ლენინმა ჩემი ეს პასუხი. ჩვენ აღარ დავბრუნებდით ამ თემას

კონფერენციის განმავლობაში (კონფერენციამ ერთ კვირამდე ვასტანა) ლენინს მოცლა არ ქონდა, სულ საქმეებში იყო გართული. იმ დროს, როცა სხვა დელეგატები პოულობდნენ დროს სეირნობისათვისაც, კრებებისათვისაც, დროს გასატარებლადაც, ის და ზინოვიევი ყელამდე მუშაობაში იყვნენ ჩაფლული და მხოლოდ კრებებზე გამოჩნდებოდნენ. უფრო ინტიმური, ახლო დამოკიდებლობა სხვა დელეგატებთან მათ არ ჰქონათ, თუმცა პირობები —საერთო სასტუმრო, სადილები და სხვა— ხელს უწყობდნენ ამას. მხოლოდ რადეკი, რომ-

ლიც მონაწილეობას იღებდა ლენინის ჯგუფის ყველა თათბირებში და იმავე დროს პოულობდა საშვალბას მხიარული ანექდოტების სათქმელათ თავისუფალ დროს დელეგატების შემთხვევითი შეხვედრაზე, იყო ერთად ერთი დამაკავშირებელი ლენინ-ზინოვიევისა და დანარჩენ დელეგატებს შორის.

როცა კონფერენცია დამთავრდა და დელეგატები ერთმანეთს გამოეთხოვენ, ლენინი და ზინოვიევი თავისი ჩანთებით ზურგზე ისევ გაქრენ გზაზე ბერნისკენ.

ვ. კოლაროვი.

ზღვის პირად

(დასასრული *).

მეორე დღეს რემანოზ დაშთაქმთან სტუმრად წასვლა, ერთობ დაუგვიანდა ლევანს. ბოლოს თითონ რემანოზმა მოაკითხა და წაიყვანა. —ბედნიერი კაცი,— ირონიით და ხანდისხან მგონი შურითაც კი ფიქრობდა ლევანი, რომელიც მხარდამხარ მისდევდა მასწავლებელს.

—მე აქაური ქალი მყავს ცოლად,—უამბობდა დაშთაქმს,—თავიდანვე აქა ვარ ხოლმე მისწავლებლად, პირველად რომ ჩამოველი, დღეაჩემი თან ჩამოვიყვანე, ჩემს მეტი პატრონი მას არ გააჩნდა, ქმარი ადრე გარდაეცვალა და შვილი ჩემს გარდა არ ყოლია. ორი წლის შემდეგ საბრალო დღეაჩემი გარდაიცვალა, მე იმავე წელს დავევირგინე, ხუთი შვილი მყავს უყვე. ჩემს სოფელში ძალიან ძვირად დავდივარ—აბა ვისთან უნდა მივიდე, ან რა გამაჩნია იქ! ისე შევეჩვიე აქაურობას როგორც საკუთარ სოფელს. ხალხს ძალზე უყვარვარ და პატივისცემითაც მეპყრობიან. მათი შვილების ერთადერთი აღმზრდელი მე ვარ. ვინ იცის რამდენ ათეულ ყმაწვილს მივალბინე საწვავა-განათლებს! ზოგმა უმაღლესი სასწავლებლებიც კი დაასრულა, მე გავუქებ და გზა ვავუწვალდი. ზოგი დიდი ხნის დაკოლმეილებულია და ოჯახურ ცხოვრებას ეწევა. ესენი ჩემი საუკეთესო მეგობრები და დახმარენი არიან, არც ერთ მათგანს ჩემთან კავშირი არ შეუწყვეტია და დღემდის მათი საუკეთესო პრჩიველი მე ვარ. ჩემზე უსაყვარლესი სტუმარი მათ ოჯახში არ შევა... მათის წყალობით და დახმარებით ვავამშენიერე ის პატარა სახლკარიც, ჩემი ცოლის ნაშთითი იყო. მე და მთელი სოფელი ისე ვართ ერთმანეთზე ვადაქდული, რომ უერთმანეთოდ მგონი ვერც კი ვიცხოვროთ, ჩემი სახლის კარები მუდამ ღიაა მათთვის, მათი სახლ-კარიც ხშირად ჩემი ძგონია. მათი გულისტკივილი ჩემი და ჩემი ოჯახის გულის ტკივილია, ჩემი სიხარული მათთვისაც სიხარულია. ვერ წარმიდგენთ, ბატონო ლევან, რა ბედნიერებაა ადამიანისათვის, როცა ეს ეულად არ გრძობს თავს ამ ვეყნად და ობლად არ სცემს მისი გული! რა ათამოვნებაა, როდესაც იცი, რომ შენს გვერდით მუდამ დგას თანამგრძობთა მთელი რიგი, რომელიც გულწრფელად იზიარებს შენს ავსა

და კარგს, მზად არის უბედურებაში დაგებნაროს, წაქცივის დროს ფეხზე წამოგაყენოს, სიხარულის დროს შენს გვერდით ჩადგეს და საერთო ფერხულში ჩაეროს.

ლევანი პირველ ხანებში ირონიულად უსმენდა რემანოზს, მერე კი ცოტა არ იყოს ჩაუფიქრდა მის ნაღაპარს. მაგრამ ხან მოკლე იყო ეს ჩაფიქრება. „ჯოგის კაცია, ჯოგის კაცი, მასაში გათქვეფილი“ ვაიფიქრა რემანოზის შესახებ და ასეთის გამომეტყველებით შეეცა სახლში, თითქოს დიდათ აბედნიერებდა რემანოზს, რომ მისახლ-კარში მისვლა იკადრა.

—ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგად მოწყობილხარ, ჩემო რემანოზ, კარგად,—უბნებოდა ხოლმე გაფანტულად. სახეზე ეტყობოდა, რომ ამ სიტყვებს სასულიად უგულვლოდ ამბობდა ლევანი, ამბობდა მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც ეთქვა,—ამას მოითხოვდა უბრალო ზრდილობა.

რემანოზი გახალისებულის სახით აჩვენებდა ლევანს თავის ეზოში ყოველივეს და ერთი კმაყოფილი იყო, რომ თავის ძველ მეგობარს და ნაცნობს, თავის სოფლის კაცს აცნობდა თავის ნაამაგარს. სხვადასხვა მცენარეები, სკა, ბოსტნეული... რა არ აჩენს ლევანს! სადილობის დროს რემანოზი თავის კოლით დიდის ალტაცებით და გულახდილობით უმასპინძლებოდა სასურველ სტუმარს და მართლაც ჩინებული პატივი სცემს. ლევანს გაუკვირდა: სად ჰქონდა ღარიბ მასწავლებელს ამდენი სასმელ-საჭმელი, ან სად ისწავლა მისნა გაყვითლებულმა ცოლმა ასე მოხდენილად და წესიერად მოპყრობაო. ყველაფერი თავის რიგზე მოიტანეს, სუფთად, მწყობრად. „ხე...ხე...ხე...“ ფიქრობდა ლევანი, —„ეს მასპინძლობაც რემანოზის ეზო გარემოსავით არის დაგეგმული და მათემათეკურის სისწორით ნავარაუდევია... რას იზამთ, ასეთი საშვალბა ადამიანი ხე...ხე...ხე...“ ყველგან და ყველაფერში წესიერი და თაღარიბიანი, ის წერილობების სისწორით შესრულებით იცვებს იმ ნაკლს, რომელიც ბუნებამ განუშხადა მას“.

დიახ, ირონია და სკეპტიციზმი არ შორდებოდა ლევანს, ამავე დროს იმასაც აშკარად გრძობდა, რომ ამ ოჯახში რაღაც ახალი, ჯერ მისთვის უნახავი და უჩვეულო ატმოსფერა იდგა, დაშთაქმის სახლ-კარში, ოჯახის წევრებ-

ში და პურ ლენინში რაღაც გამოუცნობი თავისებურება იყო ჩაქსოვილი, თბილი, გულის გამაღვებელი, სულთა მასალბუნებელი. ლევანმა აშკარად იგრძნო ეს დამახასიათებელი ნაკადი, მაგრამ სახელი ჯერ კიდევ ვერ დაერქმია მისთვის, ვერ გაეგო რა იყო; უბრალო, ზეზეური შემთხვევითი მოვლენა იყო იგი, თუ დაშთაქმის მთელი შემოქმედების დედა-ძარღვი, სული და გული?..

სადილის დასასრულ რემანოზმა თავისი ბავშვების ნიჭიც აჩვენა ლევანს: ჯერ თითო-თითო მიიყვანა სტუმართან და სალამი მიაცქენინა, მერე კი სამთავე ერთად ჩამოსვა მერცხლებივით და მრავალყამიერი ამღერა. შემდეგ ერთ-ერთს უთხრა: აბა ლექსით და ბავშვს სწრაფად წამოიქრა, გასწორდა, ხმა გაიწმინდა, თავი მაღლა ასწია და გრაციოზულად ჩაარაკრაკა: „ყაყაოსა სიწითლითა ყანა დაუმშენებია, თინასა კარგი სწავლითა მამაგახარება, დედა გაუხარებია, ბიძია გაუხარებია...“ და სხვ. მეორემ „ორმოში ფეტვი ჩაყვარე“ ჩააბულბულა, მესამემ — „საწყალი მელა ჩიოდა“.

ლევანი ღიმილით შეყურებდა ბავშვებს და ხშირად მისი ღიმილი გულწრფელიც იყო. მშობლები ალტაცებულნი იყვნენ.

—შვილო, შენ ვე სიტყვა ვერა სთქვი გამოთქმით... მაგრე კი არ უნდა, აი ასე უნდა სთქვა,—უსწორებდა რემანოზი ერთ ბავშვს.

ლევანი კი გულში იღიმებოდა: „წარმოდგენილი მაქვს რამდენ შრომას დახარჯავდა დაშთაქმ ამ ბავშვის დაგეშვის დროს შეხე როგორ უსწორებს, მთელი მისი სიბრძნე ყაყაოს ლექსში გამოიხატება“...

სადილის შემდეგ გამობრუნებულმა მასპინძლებმა სტუმარი რემანოზის კაბინეტში მიიწვიეს. კაბინეტის კედლები სულ სურათებით იყო შემკული. ვინ არ იყო აქ, ვისი სურათი არ იყო კედლებზე: მწერლების, მგონების, მუსიკოსების, საზოგადო მოღვაწეთა, ისტორიულ პირთა, ლეგენდარულ არსებთა... უცნობი, მშობლიურ ქვეყნისა... ყველანი ღამაზ ჩარჩოებში იყვნენ ჩასმულნი და ყურადღებით დაჰყურებდნენ ოთახის შუა ადგილს.

—ოჰო, თქვენ მთელი კოლექცია გქონებთ,—მოიწონა ლევანმა და უნდოდა თავისებურად აეხსნა ეს გარემოება, მაგრამ რემანოზმა შეაწყვეტინა:

—მამა, მე ამითი მიდგია სული,—დაიწყო მან,—ამათი იდეები და ცხოვრება, რომ მიამებს სულსა და გულს. ვაკვირდები რომელიმე მწერალს და სიანაყით მეცება გული: ვიცი რომ ისიც ჩემებრ ადამიანი იყო და ჩემისთანების საკეთილდღეოთ უშრომით წარსულში. ასეთსავე აზრებზე მაყენებს თანამედროვე მოღვაწის დანახვაც. ვამბობ, რომ ამ ადამიანს ამ წამს საწყალ ძმათა სასიკეთოდ იღვწის და მუდამ საზოგადო საქმეს ემსახურება, პირად „მე“ სხვისი „მეს“-თვის შეუთანხმებია, თა ვისი არსება სხვის არსებაში ვადაუქნამს. ას, მგონია, რომა მათი—ძველნახულ მოღვაწეთ მეოხებით შეუჭრველად შეუკავშირდები ხოლმე აწმყისა და წარსულს, ხოლო ამ რწმენით გამსკვალულს მომავალი შარავანდელით გაბრწყინებულად მტყენება... და მაშინ ჩემი სული

* იხ. „ჩირადანი“ №18 ნ, 6.

ტკბება, უღარესი სიამე ეუფლება ჩემს არსებას და მთელი ჩემი სიცოცხლე აზრიანი ხდება. ამათი მოგონება რომ არ მიხარებდეს გულს, არ ვიცი რა უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრება!.. მაშინ მიყვარს ცოლიც, შვილიც, ჩემი შვირდებიც, მაშინ აღინთება ღვთიური ცეცხლი ჩემს არსებაში და ასე მგონია. რომ ის მოგორივლე ზღვა, აი ავტო რომ ასკდება ნაპირებს, ერთიანად ჩემს არსებაში ბოხოქრებს და ენერგიას მმატებს, რძოლის ცეცხლს მიღვიძებს! და მაშინ ის მრისხანე სტიქიონიც უღარესად მიყვარს, მივაჩერდები მთელის ჩემი არსებით და სიამაყით გული მეგება!..

ფგრძნობ რომ მეც ნაწილი ვარ კაცთა სამეფოსის, მეც წილი მაქვს აღამიანთა გათვითცნობიერებაში, ვიგონებ ჩემს აურაცხელ შეგირდებს, ვაკვირდები ამ პატარა სოფელს, სადაც ოცდაათი წელი ვიღვწი და... და... არ ვიცი ღმერთმანი, რამდენ სიამაყეს და სიამოვნებას ვგრძნობ, რანიარად ბედნიერი ვარ ამ დროს!.. ძველების სისხლის ჩუხჩუს ჩემს ძარღვებში ვგრძნობ, მომავალ თაობათა არსებაში ჩემიც გაილესება... რგოლი ვარ დაუსრულებელი ჯაჭვის, უგრძელესი გრეხილის!.. ოხ, რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!..

ამ სიტყვების მოსმენისთან ერთად ლევანის თავზე თითქოს სულიწმინდა გადმოდიოდა, ის ამჩნევდა, რომ რაღაც ახალი ნიჭი შეემატა მას, ნიჭი, რომელიც გამოაცნობინებს რემანოზის ოჯახის არსებაში ჩაქსოვილ შეუცნობელ ძალას... უკვე ვადემალა ლევანს ის წიგნი, რომელიც დღემდის დაბეჭდილი იყო მისთვის „ბეჭედილია შეილითა“, უკვე გაიგო რემანოზის ცხოვრების აზრი... გაიხსნა გორდიუსის კვანძი, ამოცნობილ იქნა ის ამოცანა, რომელსაც ამდენი ხანია ჩაჰყურებდა იგი.

ის თოფნაკრავივით მოშორდა მასწავლებელს და შინისკენ გასწია.

— ახლა კი მივხები ყველაფერს, ახლა კი გავიგე, თუ რისთვის არის დაშნაძისათვის „ყაყაჩო“ ლექსი სასიამოვნო მოსასმენი, „ორმოში ფეტვი ჩავყარე“ მკაფიოდ წარმოსათქვლი! ახლა ყოველივე ნათელია ჩემთვის: დაგვემული ეზო, სიმეტრია, სასიმინდე, საქათმე... ყველაფერი, ყველაფერი!.. დაშნაძე კავშირს გრძნობს წარსულთან, კავშირს გრძნობს აწმყოსთან და იმედი აქვს, რომ მომავალიც შეიძლება... დიახ... დიახ!.. და ბედნიერიც ამიტომ არის! ცოლის შერთავც მიტომ სწამს, ოცდაათი წელი მასწავლებლადაც ამიტომ არის, ზღვასაც ამისათვის შერთავს და შეჰხარის, ყოველ წამს პირისპირ უდგას... დიახ... დიახ! ბედნიერიც ამიტომ არის, ამიტომ!.. ამიტომ!..

ერთიანად ათრთოლებული ლევანი ძლივს მაგრდება ლოკისში, ვერხვის ფოლოლივით თრთის, ლამის გული ამოუვარდეს საგულედან... დიახ, დიახ, დაშნაძე ამიტომ არის ბედნიერი, ამიტომ... მე კი... მე...? მხოლოდ სიბერის ეაშს ცხოვრების აზრის გაცემა! ჰუმბარტად საშინელია და ლევანიც ღრმად გრძნობდა ამას. მთელ არსება შერყეული, ერთიანად ვაქამტერებელი ბოღმებში ჩაფლულიყო და უიმედოდ ქვითინებდა...
ირგვლივ ჩვეულებრივი სიწყნარე იყო, ზღვიდან მომანბერი სიო ლევანის ფართო ოთახის ქუნჭულში მიაკვდა, ლევანის ქვითინი ვერსაიდან გამომახილს ვერ პოულობდა, სისო ისევ ნაბდის ფეხსაცმელში დიდობდა... ის უკმეხი რაინდიც უკმეხად გადმოყურებდა აქვითინებულ თაყვანისმცემელს...

ვ. მალაქიაშვილი.

შველის ნახსოვი.

რადგან სდუმს მათა შორის მოვარდნილ მდინარეზედ გადმოწოლილი უზარმაზარი—კლდე, რადგან თვით მდინარეც თავისი ქაფმორეული ქუხილით გარკვევით არაფერს არ მოუთხრობს აღამიანის გულს, ამიტომ მე თვითონ მინდა ვადმოვკეთ პატარა ამბავი, რომელიც დამთავრდა ამ კლდეზე ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს—ჩამოვალი მზის უკანასკნელ სხივთა მოწმობით.

ვინ მისწვდეს სავსებით თანამედროვე ცხოვრების ჯადოსნურ ქანათა და მოვლენათ! ქვეყნის ათასი საოცრებანი ქარიშხალივით დასტრიალებენ აღამიანს ხანმოკლე სიცოცხლეში.

დაუჯერებელი ამბები თავბრუს დამხვევ სინამდვილეთ იქცევიან დღიდან დღეში, საათიდან საათში.

ღღევანდელი ცხოვრების დაუგეშავი ქროლოგა თითქოს საკმარია, რომ აღავსოს აღამიანის ნატვრათა საწყაული.

თანამედროვე კაცობრიობის ზრახვანი აწყვეტილ რაშივით წ ნ მისწრაფვიან—მოამეფლისაკენ..

მაგრამ კაცი თუ ზოგჯერ მაინც გადაიხედავს წარსულის ლეგენდისკენ, რამდენ დამშვიდებულ სიღამაზეს ნახავს იქ! საუკუნეთაგან დაზღვეული დიდებანი როგორის მკერმეტკველებით ღალადებენ ჩვენ წინაპართა მოღვაწეობასა და ქირანახულობაზე!

ჩვენი ქვეყნის წარსული სიდიადის საუკეთესო ძეგლებათ მე წარმომიდგებიან ძველისძველი ნანგრევები და ციხე-ქალაქნი. და როდესაც მინდა თვალი გადავავლო წარსულის სიღრმეში ჩაძირულ საიდუმლოებს, ყოველთვის მომენტარება ხოლმე რომელიმე ნანგრევებზე ხეტიალი...

სწორედ ამიტომ შემეყვარდა ერთი იმ ციხეთაგან, რომელნიც თითქოს ძველ რაინდთა მონღოლბილივით ერთგულათ სდარაჯობენ საუკუნეთა ხსოვნას ხალხის გულში—მაღალ მთებიდან.

ბარში ზაფხულის პაპანაქება სიცხით გულბილუელი ყოველ დღე იმ მაღალ ციხის ხანგრევებს შევაფარებდი ხოლმე თავს მზის ჩასვლამდის.

ფიქრების თვალწუწვდენ სავანეს წარპოად გენერს ეს ნანგრევები...

დახახებული კლდეები. ჩამონგრეული კედლები. ძირს გადმოჩხილი ლოდები. დამსხვრეული ქვევრები.

ციხის შუა გულში კიდევ ობლათ მდგომი მუხის ხე..

იქვე არიან ნახევრათ მიწაში ჩაფლული საფლავის ქვები დროის სიმკაცრისგან აღვივლის წარწერებით.

ამ საფლავებიდან თითქოს წამოიჭრებიან სახენი დაქრილ-დაქანცულ მამა-პაპათა და ჩუმათ, უსიტყვით მოგჩერებიან მრავალ-მეტყველის თვალებით... მათი დამტვრეული და გასისხლიანებული აბჯართი კი თვალწინ გეხატება მათივე სიცოცხლე და მათი შრომა...

შენც მისდევ ამ წარმოდგენათა აშლილ კვალს, მისდევ და ნელნელა სტოპავ იმ დაუსრულებელ სიბნელეში, სადაც უკვალოთ, სამარადისოთ დამარხულან ათასი და ათი-ათასი წელნი აღამიანთა ცხოვრებისა.

ამ ფიქრებით გაბოთული თითქოს გაშეშებული ვიჯეტქი ხოლმე მრავალ-მოქმე მუხის ქვეშ და მიგჩერებოდი პირდაპირ—დამუნჯებულ—კლდეს.

მიგჩერებოდი და თან ჩემდა უნებლიეთ ენატრობდი, გადაექცეულიყავ მხატვრათ...

ჩი, რა სიცოცხლის აღსაგეფ ფერებით ჩამოვიქნობი, თუ ეს უშველებელი მთები როგორ გადაგრებილან ერთი ერთმანეთზედ ზარმაკად და ყველა კი შეერთებულს სიმძიმით მისწოლიან იმ გაკერპებულ კლდეს.

კლდეც ამ დაუზოგავ ტვირთისაგან თითქმის კარგა წახრილია წელში და მთელის ძალღონით იმაგრებს თავს: თითქოს ეშინია:

— ერთი ნაბიჯიც კიდევ—და იგი უკვალოთ გადაიჩეხება მდინარეშიო.

მთების სიღრმეში შობილი და მათ კალთებზე გალაღებული მდინარეც რაღაც გონარეულის სიმღერით მოსთამაშობს ქვა-ღრიან საეაღზე. მხოლოთ რა უახლოვდება კლდეს, რკალივით უხვევს იმის გარშემო. შემდეგ კი უფრო მეტის სისწრაფითა და თავისი წამაქეზებელ ხმაურით მიექანება ქვევით, შორს...

მაგრამ ყველა ამ გონარეულ სიღამაზესა და მათა სულგანაბულ სიამაყეს დავავარგვინებდი იცით რით?

— იმ კობტა შველით, რომელსაც თითქმის ყოველდღე ვხედავდი ჩემ პირდაპირ კლდეზე! მართლაც გასაოცარი რამ იყო ეს შველი!

ღიად, თითქმის ყოველ დღე ვხედავდი—ხოლმე მას და ყოველთვის იმეორებდა ერთსა და იმავეს:

როგორც ტყეობიდან თავდახწეული—მიჰქრის იგი ფრთა-შესხმულივით. მაღალ მთიდან დაშვებული მოექანება პირდაპირ კლდეზე და რა მოაღწევს ნაპირს—შეჩერდება გაყინულივით.

კობტა თავს ასწევს ცისკენ, თითქოს ფიქრობს, ან ოცნებობს რაღაცაზეო.

მოკლუნავს წელს, შეჯგუფავს წერწებ ფხებს—თითქოს დაემაზადა ვადასახტომათო და შემდეგ—ისევ გასწორდება.

— ალბათ სხვა გზას თუ მიავნო!

მიუახლოვდა ნაპარსს, ნელა და სიფრთხილით ჩაჰყურს კლდის გამონატხებულ ცალ წინა

ფესს და შემდეგ შეშინებულვით ისევ უკან დაიხვეს.

წაივრძელებს ოქროს ფერათ მობზინავე კისერს, თითქოს უნდა გადაჰხედოს კლდის იქით უფსკრულშიო—და ისევ გასწორდება.

—ეტყობა, ვერაფერი დაინახა!
მთელის ძალ-ღონით ავანიერებს მგრძნობიარე ნესტოებს, რაღაცას ჰყნოსავს—და ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეჩერდება.

—აღბათ ვერაფერი ვერ აუღო ალღო!
ფხიზლად ატყევეტავს ლამაზ ყურებს, თითქოს სცილილობს გაიგოს რამეო—და ისევ გადაიყრის კისერზე.

—სჩანს ვერაფერი სასურველი ვერ გაიგო მან!

კიდევ დაჰყოფს რამდენიმე წუთს, მიიხედ-მიიხედავს და გულდაწყვეტილი ნელის ნაბიჯით ისევ მისცემს ხოლმე თავს მთებსა და მათ ტყეებს.

ყოველ დღე მეორდებოდა ეს სურათი.

ეტყობა შევეს საშინლათ იზიდავდა კლდის იქითა მხარე თავისი საიდუმლებითა და მიუღვლოლობით, მაგრამ რა ქნას?

—გარშემო აქოჩრილი მდინარე ჩაუდის, რომელშიც შეუძლებელია გატოპვა. მალდიდან გადახტომაც მოუხერხებელი იყო, როგორც თვითონვე რწმუნდებოდა ყოველდღე.

ლამაზი, საყვარელი შველი!

ეტყობოდა—მას ვერც თავი გაენებებინა თავის უგონო, მაგრამ ძლიერის სურვილისთვის და არც შესწევდა ძალ-ღონე მის შესასრულე-ბლათ.

ასე გრძელდებოდა დღითი დღე ეს უცნათრობით აღსავსე ლამაზი ტრაგედია კოხტა შველისა.

კარგა ხანია ვზივარ ამოჩემებულ ციხის ნანგრევებზე.

შველი არსადა სჩანს.

ოქროს ფერად მიმქრალი მზის სხივები ნელ-ნელა ემშვიდობებიან ჯერ-ჯერით ველებს, სერებს, გორაკებს და ამ მაღალ და მაღალ კიბეებით თან და თან უახლოვდებიან უმადლეს მწვერვალებს. ეხლა ივინი კლდის მიუღვომელ ნაპრალებზე მიაშუქებენ.

საღდაცა თოფის ხმა გაისმა.
რაღაც წინასწარ გრძნობამ ყრუთ შემაშფოთა.

—ნეტა შველი სად არის? ხომ არ მოჰკლეს?

—მაგრამ არა! იგი ცოცხალია!

—ავერ მოექანება ის—ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად. არ ერიდება არც ჩირგვებს, არც პატარა ხეებს. ტყევისასვით პირდაპირ მოჰქრის დაურიდებლათ. ვით ფრთა-შესხმული—ისევ გადმოვება ჩირგვებიდან ცარიელ ველზე... მაგრამ ღმერთო! იგი იღვრებოდა!

ოქროსფერი ყელი სისხლში მოსვრია. მოთეთრო მკერდი წითლად შეჰღებია.

მანაც მოჰქრის თავ-გამეტებით.

—კიდევ ათიოდე ნაბიჯი კლდემდის! ერთი ძლიერი ნახტომიც და...

—შველი მოწყვეტილ გადავება კლდის იქით უფსკრულში! შეისრულა ნატვრა უგუნურმა შველმა!

ქვევიდან მოისმა მხოლოდ ყრუ ბრაგვანი. შესწყდა მდინარის ქუხილი. მიჩუმდა ყველაფერი, თითქოს მთელი ბუნება ყურს უგდებს რაღაცა წმინდა საიდუმლოების აღსრულებასო.

ეს საიდუმლოება იყო—

გაპარჯება შველისა სიკვდილის წინ.

ლევ. შებრეველი.

ცაპვით წასული ვაჟკაცი უინ მოასვენეს ურმითა.

(ესკიზი)

ჰაერში პირველი გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა.

ველ-მინდვრებში ია-ენძელები მოსულიყვნენ. შოშინებსაც არ დაეგვიანათ: შეკვირტულ ბაღა-ბაღებს გიშრის ფერად მოჰფენოდნენ და მზიარულად ეღრუტუნებდნენ.

თუმცა სამუშაო დღე იყო, მაგრამ სოფ. ვარდისუბანი, მანაც უქმობდა.

უქმობდა იმისათვის, რომ თავის ვაჟკაცებს ისტუმრებდა წითელ ჯარში.

* * *

—ცანგალა-და გოგონა-და!

—ჰაარალი, ჰარალე!

—გოგნი-გოგო-გონა-და!

—ჰარალი-ვარალე!

მდგროდა სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა თავისებურ საცეკვაო სიმღერას და მხრებ-გაშლილი უვლიდა მოკრიალებულ კალოს გარშემო.

—განი, განი, ბიჭებო!—ყიყინებდა თედო ჰარხალაშვილი სახრით ხელში და მოთამაშეთა შუა წრეში ვეფხვივითა ტრიალებდა.

—ტაში, გოგობო, ტაში, თქვე ხელებ დასამიწებლებო!—ხუმრობდა ქიტესა ხეგლე-ჯიაშვილი და აკალთული ჩოხით ქორივითა სრიალებდა გოგობის წინაშე.

* * *

წავიდეთ, ძებო, წავიდეთ,

წავიდეთ წითელ ჯარშია

ჩვენს-მუშურ-გლებურ მხედრობას

ჩვენც ამოუდგეთ მხარშია.

წავიდეთ, ძებო, წავიდეთ,

წავიდეთ გულდაგულათა;

მოყვრებს მოყვრულათ მოექცეთ,

მტერს შეეგებოთ მტრულათა.

სირტვილისაგან იწოდეს,

ხალხში ველარა ჩნდებოდეს,

ვინც არ წავიდეს ჯარშია

და სახლში იმადებოდეს.

წავიდეთ, ძებო, წავიდეთ,

წავიდეთ წითელ ჯარშია

თავისუფლების დარაჯებს

ჩვენც ამოუდგეთ მხარშია!

რხიხანად მიიმღეროდა სალაშქრო სიმღერას სოფლის ორღობეში მხარი-მხარ გადაბმული მშრომელი ახალგაზრდობა და გუგუნ-მისი შორით-შორს იკარგებოდა.

* * *

—ბიჭებო, თედო რა იქნა?—იკითხა სხვებთან ერთად ჯარში მიმავალმა ქიტესამ.

—მართლა, ხალხო, სად ჩაიყლაპა ი პირ-ძალი, ისა!—გამოხმაფრა მეორე ახალგაზრდა.

—დაუცადოთ, ბიჭებო, დაუცადოთ, გზაში ჩამოგვრჩებოდა!—ურჩია მესამემ.

ყველანი შეჩერდნენ.

—შენ ეი, წენგოლანთ ბიჭო, ახტი ერთი შენებურათ აი ამ კაკლის ხეზე და გადასძახე სოფელს.

—ეხლავე. ეგ კარგია მოიფიქრე, აი!—სთქვა და თვალის დახამხამებაზე ხის კენწეროს მოექცა.

—ჰა-ჰააა, თედოოო!—გასძახა წენგოლანთ ბიჭმა სოფლისაკენ, საიდანაც მცირე ხნის შემდეგ მოისმა თედოს ხმა.

—მოვდივარ, ბიჭებო, მოვდივარ!

* * *

თედო ჰარხალაშვილი ახლად დანიშნული იყო. სწორედ ამისათვის ჩამორჩენოდა თავის ამხანაგებს და ქურდულათი სიყვარულით ეთხოვებოდა ზამბახანთ ახალგაზრდა კოხტა გოგოს—თებრონეს, რომლის ლამაზ თვალებიდანაც უუუუნა წვიმის წინწლებივით გამოკითოდნენ უმწიკვლო ცრემლები.

სოფლის პატარა სერზე იდგა გულდათუთქული თებრო და თვალს არ ამორებდა ქალაქისაკენ ცეკვით მიმავალ თავის სატრფიალო თედოს.

რამდენიმე წუთით და...

მიმღერალი მშრომელი ახალგაზრდობა, თედოსთან ერთად, გუგუნით გასცილდნენ მშობლიურ სოფლის კეკლუშ მიდამოს.

* * *

დრო მიდიოდა.

მშობლების დარდას და თებროს მწუხარებას თედოს კარგი აშბავი ანილებდა.

წითელ ყაზარმაში ისე მალე შეესწავლნა თედოს წერათხება, რომ თუ წინათ სხვა აწერინებდა მოკითხვის ბარათს, ეხლა თავის ხელით დაეწერნა და ისევ გამოეგზავნა თავისიანებისათვის.

—ძვირფასო დედ-მამავ!—სწერდა თედო თავის მშობლებს—ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ. მე კარგათა ვარ. კმაყოფილიც ჩემის ბედისა. თქვენ აღბათ წარმოადგენილი გაქვთ ძველმუშური, ნიკოლოზის დროინდელი სალდათობა და ამისათვისა სწუხთ ჩემზე. რა შედარებაა? ეხლანდელი ყაზარმა ყაზარმა კი არა, სკოლაა. რომ იცოდეთ, დედი, რა კარგია ეხლანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება, გაცხიარდება კიდევ შენი შვილის აქ ყოფნა. იყავით ყოჩაღათ. ამ წეროლს ჩვენს სამკითხველოში გწერს. დამიკოცნე თებრო. მასაც მალე მიგწერს საკუთრივ წერილს.

თქვენი შვილი თედო ჰარხალაშვილი.

* *

კვირა დღე იყო. სოფ. ვარდისუბნის კოოპერატიულ ღუჭინს წინ თავმოყრილი ხალხი თავის ქირ-ვარამზე მუსაიდობდა.

შორს, შარა გზაზე გამოჩნდა ურემი, რომელსაც ორი წითელარმიელი მოსდევდა.

— ვინ უნდა იყენენ? — სთქვა რამდენიმე მოხუცმა გლეხმა და უფრო კარგად გასაჭერებად ხელები შუბლზე მიიდეს.

— ეხლავე შევიტყობ! — წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭმა და მოჭურცხლა მომავალ ურემისაკენ წინ შესახვედრად.

არ გასულა დიდი დრო. რომ ხსენებული პატარა ბიჭი უკანვე მოვარდა ქაქანით.

— რა იყო, შვილო, ვინ არიან? — ჰკითხეს მოხუცებულებმა.

— სალდათები არიან.

— ვინ სალდათები?

— რა ვიცი, ქართველები არიან.

— მერე, მერე...

— საწყალ თედოს მოასვენებენ ურმით.

— როგორ თუ თედოს? ვის მოუქლავს?

— რა ვიცი.

— ვაი მაგის მშობლებს.

— ვაი მაგის დანიშნულის თვალებს.

— გაიძახოდნენ შეწუხებული გლეხები და თავის ქნევით მიემართებოდნენ ურემისაკენ.

— რა ამბავია შვილებო ვინ მოგვიკლა ეგ მშვენიერი ვაჟკაცი, ვინა — მისვლისათვის იკითხეს გლეხებმა.

— ვინა და ყაჩაღებმა! — მიუგეს წითელარმიელებმა.

— სად, როგორ?

— დუშეთის მაზრაში. იქა თარეზობდნენ ის ავაზაკები. ჩვენ გაწვეულები ვიყავით მათთან საბრძოლველად. ვიღაც მარჯვენა გასახმობი ქურდულად ჩასაფრებულყო ტყეში და...

— აფსუს, ბიჭო, აფსუს, რა ვაჟკაცი იყავი?

— მართალია ეს ამხანაგი მოგვიკლეს იმ ნაძირალებმა, მაგრამ არც ჩვენ დავაყარეთ სიყვითე. ძირ-ფესვიანად ამოვავდეთ მათი ხსენება.

— ეჰ, საცოდაო თედო, ციკვით წასული ურმით მოგასვენეს.

მძიმე ოხვრით წარმოსთქვა ქუდ-მოხდილმა ხალხმა და მიცვალბულის კუბო ურმიდან ხელით გადმოასვენეს.

ხოშია.

ახლა კი მიდის? რა ვიცი, ჩონქარას რაღა სწადიან?*) იქნება გამაიტაცოს, სულ ისე არა ჰჩადიან?

II.

როცა მეწყინას უარი ქალისა ევაგებოდა, მისს შვილს ჩონქარას ეს საქმე იმდნად არ ენაღვლებოდა, რამდენადაც ჰწყინდა და გულში ძალიან იმუჭრებოდა.

ის ბიჭი ფშველი იყო, ფშველის წესრიგზედ აღზრდილი. მოლექსე¹⁾, ენალაქლაქა, წოლა-დგომაში²⁾ გაქნული.

უხასიათო, უხანო, უზომოდ აღვირახსნილი. ის არავის რად ავდებდა, ქალებს აშკარად დაჰყვებდა; უგუნურს და გამოუცდლებს თავის ბედში ახვევდა.

ამას წაწლობას ეძახდა, ქალებს და-ღობილს არქმევდა და რომ გეკითხნათ, ძირს მიწას, მაღლა ცას ფიციტ აქცევდა, რომ ის არაფერს აშავებდა, ქალებთან ისე დაძვრება.

ამას ხან მალვით შერებოდა, ხან დედამამის ცოდნითა. მათთვის გეკითხნათ, გეტყოდნენ: არას აშავებენ კოცნითა.

კაცი ამ წუთისოფელსა სხვას რასა ჰრჩება ყოფნითა? ქალს ერთ სწორფერი კი უნდა, იყოს იმასთან დობითა, და ვაჟსაც ჰმართებს ნიადაგ არ უღალატოს ძმობითა.

ხანდახან ერთურთი ჰნახონ, დაძინენ სურვილით, ნდობითა³⁾. ასე უცქერის ფშველი ქალისას ვაეთან წვენსა, კოცნა-ალერსა კიკიკისა, მხურვალედ შამოხვევსა.

ერთხელც არ იტყვის ვაჟისას სახლიდამ გამოდევნასა. და ჩონქარაცა უხათროდ სარგებლობს ნდობით ბევრგანა.

ჰყვეტავს და ჰყვეტავს ყვავილსა, მიდის და მოდის ყველგანა. სხვისთვის რომ უმადურობდეს, მისთვის ტკბილია ქვეყანა.

ჩონქარას თავი ამგვარად ეგონა ყოვლისშემძლები. რას იფიქრებდა, რომ სადმე იყო ისეთი ქალები,

*) ჩონქარა — მამაკაცის სახელი.

1) „მოლექსე“ — ფშავური ლექსით ექსპროზიტების ნა-მოთქმული.

2) „წოლა დგომა“ — წაწლობა.

3) „მთაწმინდობა“ ანუ „ცხატურთაობა“ — საცოცო-ტფრო თემის დღევანდ. სოფ. ცხატურთას იმართება იველისი მიწურულგაში.

მთა-ბარში.

(პოემა-რომანი)

ქარი პირველი

ს ა ც ო ლ ო ს მ ო ტ ა ც ე ბ ა.

ეპიკური ფსავლუბის ცხოვრებინა.

I.

ხოშია (მეწყინას).

რა ჰქენით, ქალის სათხოვრად მითომ კი სადმე დასდიო?

მეწყინა.

დავდიო, ვთხოულობო, მაგრამა დღემდე ვერაფერს დავხდიო. დანელდენ. სულ დაგვიშორნეს, დუშმანთ²⁾ გულისსად დაგხდიო.

ხოშია

ისეთ რა ქმნილა. შვილისა სიცოცხლე სთხოვე ღმერთსაო. თორემ იმისი საცოლე ფოთვლად ასხია ტყესაო.

მეწყინა.

მეც მაგრე ვფიქრობ. შვილისთვიც სულ მაგისი ვარ მთქმელიო. მაგრამ მას არაფერი მისდის, ხანჯალზედ უძევს ხელიო. ამბობს: „თუ ის წამივიდა, თავი არ მინდა მთელიო“.

ხოშია.

თუ კი ვინმეა ისეთი, ვარგა თუ შეხედულადა

1) ხოშია — მანდილოსნის მეწყინა. სახელები

2) დუშმანი — მტერი.

რომ თავმომწონე ვაჟკაცი გაუხდავს უგებურადა?

მეწყინა.

არც ურიგოა, რომ ჰნახო, ჩაგვიარდება გულადა. ისეთი ლამაზი არის, თვალს მოგჭრის უნებურადა.

მერე მის ტანისმოსი, მის ნაქსოვ-შეკერილია! შიგ ქალი გამონასკეული, მასკვლევი მოწყვეტილია, გაზაფხულისა მინდორი, ყოილით შამკობილია. ახლა ხალიჩა, ფარდავი, მის ხელით დაქსოვილია! მაგეთი არვინ მინახავს, რაც ხალხი შამომივლია.

ხოშია.

დახე, რა კარგი ყოფილა ქალი ეგ დასანელები!

მეწყინა.

კარგია, იმით არ არის აღვილი მოსანელები, რომ ჩვენის ხელიდამ მიდის ეგ ტკბილად დასანელები.

გ. ჰ.

რომ მათს დევნაში მის წითლას დაუცვლებოდა ნალეზი. და ხელთ არ ჩაუცვივოდა მათი ვარდი და ლალეზი. ეს ერთი მარცხი მოუხდა, მაგრამ გულს არ იღონებდა; სურათსა ჯგავრისას მალიმალ მოიგონებდა. ჰწამდა რომ ღღეს ხვალ იმასა აღვილად მოიპოვებდა და მერე თვითონ იცოდა, რა რიგაც ჩაიკონებდა. — „მეგრე რა რიგად იპოვნი“ ჩონქარას ჰკითხა ხთისომა. — „წავალ და გამოვიტაცებ, რა ძნელი არის მითომა? შენ კი არ გამოწყევიბა, გზარავს ქალისად მიხლომა?“ — „ისე ხალისით წამოვალ, როგორაც დღეობაშია. როდის წავიდეთ?“ — „ეხლავე“. — „არ იყოს ჯგავრობაშია, ხომ იცი მთაწმინდობაა,“⁷⁾ ის მაგათია ხატობა.

ჩონქარა

ის დღეობაში არ არის, გუშინ მოვიდა მნათობა⁸⁾ ჩემ მამიდაი, ხომ იცი, ჩარგალს ჰყავს გარსევანათა⁹⁾ ის ქალი მთაში ყოფილა, მარტოდ ღვთის ანაბარადა. დედმამა ჰხატში წაჰსვლია იმის ძმის გასაყვანადა¹⁰⁾ ოთხშაბათამდე არც მოვლენ, ისე აქვსთ გაჰწესებული. ქალი მარტუა მთაშია საქონთან დაყენებული. ერთი ხევსური ქალი ჰყავს მინამდის მორიგებული. ვინც წამსვლეულია, დღეს წავა,¹¹⁾ შინ ბევრი არვინ დარჩება. ქალგაეი ჰრელჰრულითა ლამაზად მაიზიკება. გზა მთაწმინდაჰდე მაშინა ათასფრად აეიკეიკდება. ვინც წამსვლეულია, დღეს წავა, შინ ბევრი არვინ დარჩება. წინ არვინ შამოგვეყრება, უკან არ გამოგვიდგება. წადი თანდილა და ხუტა¹²⁾ მოლაღენ საქაროზედა. პატარა გავიქეიფოთ, წავიდეთ საღამოზედა. რომ ძილპირის დროს მაინცა შევევარდე ჯგავროზედა¹³⁾

ხეთისო.

ეხლავე ნახვა არ უნდა ჩვენს მამას წვერიანასა?

ჩონქარა

ენახე, აი თუმან ჩაუდევ თვალბეში ცრემლიანსა. ჩვენ ქალი გამოვიტაცოთ, მღვდელი მყავს მოყენებული. არ მოშორდება საყდარსა, როგორაც დაკერებული. მხოლოდ თითს უნდა გამოკრვა, თოფი მაქვს დაგანებული¹⁴⁾ ჰნახო თუ ჰნახო ჯგავრა ყირაზედ დაყენებული.

III

საქონი მოდილაურდა¹⁴⁾ ქალი გავიდა ტავნითა¹⁵⁾. შავის თვალ-წარბით შემეკული, შავის ფაფანაგ, კაბითა.¹⁶⁾ პირრგვალი, გულმკერდით სრული, ტურფა სახით და ბავითა. მიდის და ფურებს ეძახის. ძროხას შეექმნა თამაში. დიდი პატარა ქალისკენ ჰბრბის, ვაჰქვს ერთი განგაში. ყველა შეზარის იმისა ანგელოზივით მოსვლასა. ერთი რომ კოცნას უპირობს, მეორე ენით ჰლოკავსა. სიყვარულითა ჰლოშნისა. და ქალიც წკრილა ხმითა, სასვე მათდამი გრძნობითა, ზოგს დედამობით იკითხავს, ზოგებს დობით და ძმობითა. და ასეც არის; მთაშია თავის სიცოცხლე შობითა. ჰკხოვრობს, კიდევაც იცხოვრებს, დღეს მათთან დაღამებისა. და მაშინ ვერც კი გაიგებს ჰქვეყნის საძაგელ აზმებსა. მათგან კი არ მოაკლდება, სრულ ეს ალერაი ექნება, და ესაც თავის სიცოცხლით სულ მათზედ გადაეგება. მაგრამ ცხოვრება თავისას მალე აცნობებს სიავს და მისს ქალწულურ ზრახვებსა ქარივით დაინიავებს. დედაკაც გამეშველა¹⁷⁾ მალე დაწველეს ძროხებრი. რა მორჩნენ, სუფად დარეცხეს დიდი, სანაღბე ხონები. ჯგავრამ მათში ჩაწურა დღეს მოწველილი რძეები.

V I

რა ისადილეს, დედიკას ქალმ ფეკილი გააცრევიანა. თვითონ ცოხს ზელვა დაუწყა, მას წყალი მოატანინა. და მერე პური ჩაუდვა, საქონი წაასმევინა. თვითონ ბეჩე ქალს იმ დღესა რამდენი საქმე გაუჩნდა! დილიდამ საღამომდინა გაზიდულობას მოუხდა. მას ჰქონდა მეყვე ორი რძე, ის უნდა შადღებელიყო. დო გამთბარიყო ხაქოდა და მერე გაწურელიყო. ჰქებებეს-ვარაის უნდოდა¹⁸⁾ დარეცხ-დაწმენდა ისევე. კაცი რომ ყველაფერს მოჰყვეს, ბოლო არ გამოილევია. მზისა ამოსვლა და ჩასვლა ჯგავრას არ გაუგია. სულ არ დამჯდარა მთელი დღე მუხლები არ მოუხტია. ასე რომ, როცა ბოლოსა რძეებს მოჰხადა ნალეზი, ცეცხლზედ შამოღვა, დაწამლა¹⁹⁾ და ამოწურა ყველები, — მზე ჩასულიყო. საქონის ნახირი კარზედ მოვიდა, და ძროხის დასაწველად ქალი ისევეც გავიდა! ჯგავრამა და დედიკამ რძითვე გაავსეს ჰქებები. კვიციან ცხენი დააბეს, ბაკში შავარეს ხბოები. დღამდა. ქოხში შავინდენ, კერაში ცეცხლი დაანთეს და აქეთ-იქითურზედა მათ საუბარი გააბეს. დედიკამ ჯგავრას უთხრა, ფანდური მოიტანეო. უნდა გიმღერო, ახალი შაირი გავიგონეო. ხევსურის ქალმა საკრავი გაართო მისწივ-მოსწია და ზედ მწკეპრად და ხმამალა გრძნობით მიმღერა ასწია: „დაგნატრი, გუროს ციხეო,²⁰⁾ ქეო, ნადებო ქეასაო. გენაცვალე, გუროელაო,²¹⁾ სანსლად გაზდილო, ტანსაო!²²⁾ გადმოჰჩნდენ მონადირენი, მასრან უცემენ თვალსაო. არა ვი, ნუ გეშინიან, ვერ გადმოვივლი მთასაო. ვერ გავიგზავნი შინითა ვეამახელაის ქალსაო.²³⁾

7) „მნათობა“ — მდღერის სახელია.

8) „ჩარგალი“ — სოფელია.

9) „გაყვანა ხატში“ — ბაღის მამისალოცეში წაიყვანენ სალოცეად და თან კურატს მიაცოლებენ ძღვენად.

10) მთაწმინდობას შაბ.თ დღეს იციან წასვლა.

11) „თანდილა და ხუტა“ — მამაკაცის სახელებია

12) „ჯგავრანზე შევევარდე“ — ჯგავრას ფეხები და-

გადაგ-ო.

14) „დაგანებული“ დამიზნებული.

15) ტავანი — საწველი ხის ხელიანი კასრი.

16) მოდილაურებას ეტყვიან მთაში საქონის დი-ლა ადრიათ საძოვარზე გარეყვას და მზის მოსვლის შემდეგ ისევ ჰოხებთან მოსხმას დასაწველავად.

17) „უფაფანაგი“ შინაური შადის საქალიო ქულა-ჯა იქვე შინ შეკერილი:

18) „მდღეო“ ხევსური ქალის სახელი.

19) „დაწამლა“ — მალდა „ჩამოკიდებული ხის სა-დღეებელი რძისა.

20) „დაწამლა“ — დგირიტა ჩაუვლო რძის შესა-დღეებლად.

21) „გუროს ციხე“ — კოშკი სოფ. გუროს — ხევსუ-რეთში.

22) გუროელი — გუროელი ვაშაკი

23) სანსლად გაზრდილი — წერილ-მალაო.

24) გამახელა — მამაკაცის სახელია.

კიდევ ვინ მისცემს ურბეთსა (25)
ჩემსა მამასა, ძმასაო.
ცხვარი მყავს მიკილის გორსა (24)
ემავის მალექსარსაო (23).
შავხედად მყინვართ ბოლოსა
გაკრიბულსა მთასაო“ (26).
სიმღერამ დაღლილ ჯავარას
მისცა სიამე ერთგვარი.
თან მობრალულ გულს იმისას
გადაკრა შავი ზეწარი.
ამ ლექსის გავგონებაზე
ქვეყანა მოუტრიალდა
და ქალის შავბნელ ყოფნაზედ
თვალეები მოუწყვლიანდა.
შეპხედა აღიღვებულმა,
ჰკითხა ხევსურის ქალსაო:
„ეგ ლექსი ვის ნათქომაია,
ჰტირის და ჰჩივის რასაო?“
— „ეს ლექსი, ჩემო დიკურო, (27)
უთქომ დლიღველის ქალსაო (28).
ამანათადა გუროსა
მის მამა დიდხან ყოფილა.
ამ ლექსის მოქმელი ქალიცა
გუროს სოფელში გაზრდილა.
იმას და გუროელსა
ერთურთი შეეყვარებია
და ეს ამბავი ხალხსაცა
გაუგო არ დაჩინია.
ქისტს უთქომს: „მე თავის ქალსა
არ მივცემ ქრისტიანსაო.“
ხევსურებს კიდევ: „ურჯულოს
არ შავრთავთ რჯულსაო.“
და მერმე მამა ქალისას
ურბეთიც მოუთხოვინია.
მაგრამ ვაჟს ფულის მიცემა
ძლიერ შორს დაუქურნია.
უთქომ: „შავირთავ მეგ ქალსა,
მავის გულს შევიარულებო.
მაგრამ, ძნელია, ხევსურეთს
ურბეთს ვერ გავარჯულებო.“
ქალის მამისთვის ქისტს ვისლაც
ურბეთი მოუტანია
და უნდაურად ის ქალი
ცოლად მას წაუყვანია!
ამ ლექსში მიკილის გორზე
ის ქალ ამოვებს ცხვრებსაო.
თვალი აქვს გუროსაკენა,
გაპხედავს იმის გზებსაო.
და უიმედოდ შაპტირის
თოვლ-ყინულიან მთებსაო.
გუროში გუროელია
არ ემდურება ბედსაო.
ცოლად გამახელაის
ქალი ჰყავს იმას გვერდსაო.
არ მახსოვსოვს იმის გულისთვის
ვინ ჰწყევს გაჩენის დღესაო.“

V

ძალი აჩქამდა კარებზედ,
მაგრამ ხმა მალეე ჩაეგო.
ქალბემა ერთურთს შაპხედეს,
ქობისა კარი გაელო.
მნათობა შემოეყუდა,
ნიგზური უნდა წაელო. (29)
თან დააყოლა: „ბარშით
ეხლად ამოვიარე.
წინწელი ველარ მოვხედე,
ცეცხლისად გამოვიარე“
ცეცხლი მისცეს და წყვილიადში
გაჰქრა მის ფეხის ჩქამია.
ჯავარამ უთხრა: „ჯერ ხომა
ჩვენ პური არ გეცემია.
მოდი, ჯერ მყეფარს ვაქამოთ,
თორემ ცოლგა ეგაცა
გადი, სასვარი ჩაუსხი, (30)
მერე ვივახშმოთ ჩვენსაო.“
და გარეთ მალე აღერსით გაისმა:
„გორდა, გორდაო! (31)
აქა, აქ! „ტუგი,“ და, „ჰჰამე!“
ორ სამჯელე ზედნიგდაო.
მერმე ჯავრობა: „რა იქმნა,
ნეტა სად დაიკარგაო?
— „უძაღლობა“, პატრონმა
ჰთქვა: „ლამით რაღი ვარგაო.
თავდაწებულ საქონსა
ნაღირი დაერევაო.
მნათობა რა დროს მოვიდა,
რა წესზედ დაეთრევაო?
იმ ძალს ის ვადევენებდა.
თვალეებშიც დაუღვებდაო.
გასვლა და ძახება უნდა,
ისევეც დაბრუნებდაო.“
და სანამ რასმე იზმოდენ
დაღონებული ქალები,
ენახოთ, პირიდან პირამდე
გაფხრევედა ქობის კარები (32)
და ყაჩაღურად, უხატოოდ
შეცვიდნენ უცხო პირები:
ჩონქარა, ხეთისო, თანდილა—
ჩენი ნაცნობი გმირები.
ჯავარა მაშინვე მიხვდა
ეს რასაც მოასწავებდა.
ჯავრით ცხოვრება შეექმნა,
მაგრამ რას მიახერხებდა?
ოთხი ვაშკაცი თავს ეღვა
თოფ-იარაღში ჩამსხდარი.
უარზედ დადგეს, რას იქამს,
გაჰყვეს და—ღმერთი სად არი?
მაინცა ჰკითხა: „ვინახართ?
ან აქ შამოსელა რა არი?“

ჩონქარა.

შენს წასაყვანად მოვედით,
სხვა აქ რა გვედვა, ქალაო.
უნდა ავდგე და გამოვკვეყე,
ჯავარ დავიწყროთ ხეალო.

ჯავარა.

მერე რა გზით და როგორა,
როცა გულითა მძულხარო?
მე არც მომწონხარ, არც მსურხარ,
ტყუილად წემასულხარო.

ნიგზური“—მუგზული.

„სასვარი“ ძაღლის სალაფავი, საქმელი.

„გორდა“—ხმლის სახელია. მაგრამ ძალსაცა

არქმევნ. აქ ძალი უნდა ეცვა ჩსხმოთ.

„ვაფხრევედა“ სულერთიან ჭაღლო.

ჩონქარა.

შენ არა გკითხავ, ხომ ჰხედავ,
მარტო ჩემია კითხული.
მარტო მე მსუხარ და კიდევ
უნდა გადავდვა ხრინკული (33).
მაშინვე ზურგზედ შავადგდეს
ჩემი ნასროლი კისრული (3)

ჯავარა.

კისრულ-ხრინკული! რა ურცხვად,
საზიზღრად ინარჯები!
შენ ჩემთან ვერას გააწყობ,
ტყუილად გაიარებია?
არ ვიცი რად უნდა გაპხდე,
როცა მე არა მსურხარო.
და ნდომის მაგიერადა
სულით და გულით მძულხარო?
განა ვაშკაცი ვინც არის,
ქალს ძალს ვადაჰკიდებსა
და ამნირად ზურგზედა
მის ცოლგას აიკიდებსა?

ჩონქარა.

შენი წყევანა, თუ მკითხავ,
ცოლგა კი არა, მალღია.
მაგრამ მაგ უტყინო თავში
სხვა რამოდენი გაკლია?
თან გველი რო თავგს თვალთა
უტყერის ჩასანთქმელადა
და მგელი ცხვარსა მშვიერი
ძვალ-ობლით შესაქმელადა,—
ისე უტყერდა ჩონქარა,
თვალეებს შიგ აყრევივნებდა
და ვენება დაუდგრომელი
მსხვილ ნერწყვეტს აულაპეინებდა.
ქალი კი თავისთვის იჯდა
ძმომე ფიქრებში გართული
და უფრო ლამაზი ჰჩანდა
სვედის ვარაყით მოცული,
როგორც თხუთმეტე დღის მთვარე
შარავანდელით მორთული.
შაეტყობოდა ვადაქროლს
აზრს ქალი ვერ დაჰდგომიყო.
მერე მიქებთან ჩონქარამ
როცა ჩურჩული დაიწყო,
გამოერკვია ესაცა
ჯიბეში ხელი ჩაიყო,
იქ ჰქონდა სამართებელი,
ახლა უბეში ჩაიღო.
ეს ისე საჩქაროდ მოხდა,
რომ ვერავინ რა გაიგო.
უცებ ბიჭები დაიძრნენ
და, როგორც ცოფიანები,
ლიტაო ქალებს ეტაკნენ
ხმაღ, ხანჯალ-თოფიანები.
ორმა დედიკას ხელები
მიუტრა ქობის ბომხედა.
უთხრა: „ეგრ იყავ ამაღამ,
მაიქე კაცის გონზედა.
დილაზე მნათობა მოვა,
ის აგხსნის თავის დროზედა.
და თუ ბუქნა, ძახილს დაიწყებ,
არ დაგიზოგავთ წიხლებსა,
ჯიუტ ვირივით აკიდებთ,
რომ ვერ დაშთავალო იმდენსა.
ორმა ვაშკაცმა ჯავარას
ხელი წაავლო ხელშია
სხვა ორნი კიდევ საჩქაროდ
ქალს ამოუღდგენ გვერდშია.
გამოიხურეს კარი და
დაინთქმენ სიხნელეშია!

(შემდეგი იქნება).

ბაჩანა.

33) ხრინკული—ფანდი კიდაობაში.

34) კისრული—ფანდი კიდაობაში

25) „ურბეთი“—ურგადი—სა(ცოლის) სასყიდი ფასი.

24) „მიკილის გორი“—ქისტეთშია.

23) „მალექსარი“—ლექსის გამომთქმელი.

26) „გაკრიბული“—გაყინული.

27) „დიკურო“—დაიავ.

28) „დლიღველი“—ქისტის—ინგუში.

შრომის ტაძარი.

ბი ტაძარი,
ოფლით ნაკურთხი
და სარბიელი
გარჯის და შრომის,

სადაც თავს იყრის
ყოველი კუთხი
ძმათა ლაშქარი,
სხვა და სხვა ტომის.

დინამოს ქმენა,
ბორბლების ფრენა,
რკინა-ფოლადის
რეკა და ჯღერა, —

მე მირჩევნია
ფრინველთა სტვენას,
ყველა კონცერტს და
ყველა ოპერას.

გ. ქუჩიშვილი.

ავიერ-პავკასიას.

დღეს ეს ქვეყანა მთა-გორიანი
ფერად-ფერადათ აჭრელბული,
მხარე წალკოტი, მხარე მზიანი
სოლიდარულად ამღერებულა...

გუშინ გრივალმა გულაქოთებით
ზღვისკენ წალკა, ზღვისკენ საზღვრები,
ააცისკროვნა წითელ დროშებით
კავკასიონის ციკაბო მთები...

შრომის ფერხულში ქარხნების გმირი
ელვა-ქუხილით შეიპყრო ალმა,
და საყვირიდან დღე-ღამე ყვირის:
ხალხთ შორის შუღლი წალკოს წყალმა

დღეა-ქალაქში ზეიმი არი,
მოშხუის მღერით მოშხუის მტკვარი,
ზღვიდანა ზღვამდე დღესასწაულში
მთვრალია მთა და მთვრალია ბარი!

ფ. ნაროშვილი.

ყოფილი ალაშიანი.

ვის არ ახარებს ყრმობის მეგობრის შეხვე-
დრა, რომელსაც დიდიხანა რაც დაგვაშორა
ბელმა.

მე გულს უჩვეულოდ ამითროლებს ხოლმე
ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობრის შეა-
ღერება...

გუშინ შეხვდით ერთს ასეთს მეგობარს, მაგ-
რამ სახტად დავრჩი, შევწრფი... მან თვალი
ამარიდა...

აღარ ვეპრინებო.
მე მინც ვადუღექი წინა.
უნდელი ღიმილით გამეხმეაურა.
ველაპარაკე ბევრ რამეზე...

ვინ მოსთვლის რაზე არ გინდა ესაუბრო
ძველს მეგობარს...

მოგონების მთის გრებილები ერთი მეორეს
სცვლიან...

ვიხედები მის სულში...
ამღერებულა...

ბრკე მოკიდებულა...
აღარსადა ძველი სიბრძოლე, სიკამკამე...
აღარც სადმე სითბოა...
გრძნობათა ყვავილები მთლათ მოფშრუ-
ქულან...

ვიგონებ ჩვენს ყრმობას...
მამინ თვითელი ჩვენთავანი მწუხარე სახის
რაინდს წარმოადგენდა, როსინანტებ შეკმა-
ზულნი მივჭრილით შორეულ ბედნიერების
კონძულბებისკენ მიმავალ ღრანტე გზებზე...

— გახსოვს აქ ხრაკი არყით გაღეშული
კაზაკები ცხენების თქარა-თქურით რომ გა-
მოგვეკიდნენ მუშათა მოძრაობის პირველ გა-
რიერაყისას?..

ხომ არ დაგვიწყნია, რომ აქ მე და შენ
მხრებზე უნდა შეგვესვა ორატორი, რომელ-

საც პირველად უნდა წამოეცეცებინა რე-
ვოლიუციონური სიტყვა...

ორატორი, მართალია, შევისვით მხრებზე,
მაგრამ აღარ დასცალდა სიტყვის დათავება...
ისე მხეკურად დავერჩინენ ცარიზმის დაგე-
შული აფთრები, რომ იძულებული გახდა ჩა-
მომხტარიყო... აბა მაშინ კი მოუსვით გრძე-
ლი კანჭებითა...

ამ თეატრის ისტორიიდანაც ბევრი რამ
შეგვეძლო მოგვეგონა...

შილერის „უჩაღლებს“ გამოაცხადებდენ
თუ არა—მთელი ახალგაზრობა თეატრს მო-
აწყდებოდა.

ან რა გასაკვირალია.
განა შეიძლება ახალგაზდა იყო და არ გი-
ყვარდეს შილერი?—არ გიტაცებდნენ კარლ-
მოორები, და პოზები, ვილჰელმ ტელბი?.. მე-
ტადრე მაშინ, როდესაც პიესაში მონაწილე-
ობდა ლადო მესხიშვილი...

ათვისტები ვიყავით, არავითარი ღმერთები
თუ კერპები არა გვწამდა, მაგრამ კინალაშ
მესხიშვილი არ გავაკერპეთ...

ქანდარებიდან ყველაზე მგზნებარედ ჩვენ—
ქუინტილი ყმაწვილები უმართავდით ოვაციებს...
ხელის გულები გეტკიოდა ტაშის ცემისავან...
ვიდრე სრულიად არ გაიკრიბებოდა ხალხი,
ჩვენ არა ვწყვეტილით აღტაცებულს ხმაურს...
ვბრუნდებოდათ სახლში და სულ მესხიშვილ-
კარლ-მორზე ვოცნებობდით...

მთელი ქვეყანა ორ ბანაკად გვქონდა გაყო-
ფილი: ერთის მხრივ იდგნენ სულით კუზი-
ნები და გულით კუტი ფრანს მოორები, მეორე
მხრით მშრომელ ხალხთა აჯანყებული გმირე-
ბი—კარლ მოორები...

ჩვენ არ გვიყვარდა სისხლი... გვაშფოთებდა
სახიობელები... მაგრამ ბევრჯელ გვინატრია:
ახ, ნეტავი ისეთი მალღები, უმწვერვალესები
გავხდეთ. რომ შეიძლებოდეს ყველა ქვეყნის
ფრანს-მოორები ჩვენს კისერზე ჩამოჰკიდა და
ჩამოახრჩო...

ხომ შევიბილწებოდით, მაგრამ ისეთი ძლი-
ერი იყო სიძულელი იმ არამზადებისადმი,
რომ აღტაცებით ვთანხმდებოდით აგვესრულე-
ბინა საღრჩობელის სვეტების როლი...

რა არის ესა?.. მოსისხარობა?.. მხეცობა?..
ეს სიყვარულია...
ეს ოცნებაა მშრომელი ხალხის ბედნიერე-
ბაზე...

ეს ნატურაა დათაფლულ შურისძიებისა...
მთელს ჩვენს ახალგაზრობაში ამ შურისძიე-
ბის ქარიშხლებზე ვოცნებობდით... გვწამდა
კიდევ, რომ იგი დაიზრიალებდა... მაგრამ...

მანც რას ვიფიქრებდით თუ ასე მალე, ძა-
ლიან მალე ფრთებს შეისხავდა და განხორ-
ცილდებოდა ნანატრი ოცნება...

გახსოვს ყველაფერი ეს ჩემო ძმაო?..
— ხო, ხო, მახსოვს...—ზანტად და ისიც
ხათრის გულისთვის მიპასუხებს იგი... ეტყობა
სრულიად არ აინტერესებს ეს მოგონება...

— რა არის კაცო რა დაგმართინა?
რას დაგიმუწნია პირი?..
რა იქნა შენი ცეცხლი, სიკაცსაქს?..

ჩვენ ხომ კარგა ხანია აღარ შეგხვედრივართ
ურთ-ერთს.. მომიყვიე სად იყავი რას აქე-
თებდი?..
რამდენს გამარჯვების მწვერვალზე შეათა-
მაშე ოცნების რაში...

ეჰ!..
ამაო შეიკითხები გაპარტახებულს ადგილს,
თუ სად ვაქტრა მისი დიდება...

მარტოოდენ ბუკიოტთა ბლვერა მოგცემს
თვალბედით პასუხს...
მეგობრისავანაც ტყუილად მოველოდი ახ-
სარებას..

მისი გულიდან დიდი ხანია გახიზნულიყენ
რევოლიუციონურ განცდის ის შევარდნები,
რომელნიც ამაყი მღერით გვაძლებინებდენ
იმ რეაქციის დროს... საარაკოდ გვატანინებ-
დენ ჯოჯოხეთურ ტანჯვას...

— ახალი გაზეთი, ახალი!..—ყვირილით
ჩავვირბინა პატარა ბიჭმა...

— მოიცა, ვიყიდოთ გაზეთი.
ვიყიდეთ. გავშალეთ.

მე დებეშებს ღაუწყებ თვალღერება... ვისწ-
რავი გავიგო რა ხდებდა მსოფლიოში... ეხლა
ხომ ყავარ-ყავარ იმხვერვიან სახელმწიფონი...

პანტა-პუნტი ცვივიან პრემიერთა პორტფე-
ლები... საცაა სრულიად წაიშლება ძველი
ქარტა და დაიწერება ახალი ბედნიერ და
თავისუფალ კაცობრიობისა...

ვენახით დღეს რალა მოვეტანა რადიომ,
რომელიც სივრცეებსა ჰხნავს იანა-იანა ამბე-
ბით...

მეგობარმა სულაც არ ჩაიხედა დეპეშებში...
გადმოაბრუნა გაზეთი და თვალბეი ჩააცეცა
იმ ადგილას, საცა ცნობები იყო სტერლინგ-
ბის და ლირების თაობაზე...

იყო სტერლინგების მაზანდის ანგარიში...
 გული ჩამფუჭვა ამ გარემოებამ...
 მართალია, ანგარებიანი დრო დაგვიდგა...
 მაგრამ მაინც გეპინკურება სული, როდესაც
 აღამიანს ჰხედავ ანგარების ჭყანტში ჩაფ-
 ლულს...

— გეტყობა სპეკულიანტა აკადემიაც გა-
 გითავებია... რასა სკდები, რატომ არ მიხვალ
 ბირჯაზე?— მიეხალე მკვახედ მეგობარს.

— ეხლა გვიანაა!— მომიგო მან, არც სწყე-
 ნია ჩემი უკმეზობა...

— დილით ბირჯაზე ვმოღვაწეობ... საღამო-
 თი კი ვნადირობ აქა...

— ნადირობ?... ამ ქუჩაზე რა უნდა ნადი-
 რობასა?..

— ღამე აქ გავლა-გამოვლა ნადირობაა,
 —?!..

— არ იცი ეს განა?... თუმცა შეიძლება არც
 იცოდე... შენ ხომ განდევილი ხარ, ფანატოკი
 რევოლუციისა... შენს ათს მცნებაში სწერია:
 „არ გახსოვდეს საკუთარი პირადობა“.

მით უფრო აკრძალული გეჭნება მრუშობა
 იმ ქუჩის პეპელებთან, რომელნიც, თქვენის
 ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მსხვერპლნი
 არიან კაპიტალიზმისა...

— და განა შენ კი ოდესღაც ასე არ აზრო-
 ვნობდი?... შენ კი არა გწამდა ეს მცნებანი?..

— უუ, მე დიდხანია ძველი, დაძინძილი
 ტანისამოსავით დავიცვალე ეს მცნებანი...

გავშორდი თქვენს მონასტერს.

ჩემთვის სრულიად საჭირო არაა თქვენი სო-
 ციალისტური რომანტიკა... პოეტური იდეა-
 ლები...

ჩემი მრწამსია ბაჯალლო ოქრო და ქეიფი...
 იმას ვამბობდი ეს ქუჩა საუკეთესო ადგი-
 ლია ნადირობისთვის...

ღამ-ღამობით აქ მოსიარულეებს—კაცს თუ
 ქალს—ყველასა აქვს თვალები გატენილი ვენ-
 ბის ნაპერწკლებით...

ყოველ საღამოს აქ უღმობელი სროლაა
 ვენებიანი თვალებისა... რაოდენი იჭრება მძიმედ.

რაოდენს მიჰყავს სასტუმროში დაჭრილი
 „ღამაზი ხობობი“...
 და გაიტაცა იგი ბინძურ ავხორციელობის
 საუბარმა...

ეს ადგილი მართლაც სანადირო ველი ყო-
 ფილა...

აი გახამებულ კაბების შარიშურით ჩამოგ-
 ვიარა ორ ქალმა...

ჩემმა რაინდმა თვალები დაუმიზნა...

ეტყობა მარჯვედ ამოილო ნიშანში...
 ივინი გაჩერდნენ...

მონადირე მიუახლოვდა...

— წავიდეთ—გვიწვევენ ივინი...

კეკლუცობის გამოსახატავად ყელებს ასივ-
 სივებენ... შეღებულ სიფრიფანა ტუჩებს ჰპლურ-
 წავენ... ჩემი ნამეგობრალი გასასყიდ ცხენები-
 ვით ჰსინჯავს... ხელიც მოუტაცუნა აქა იქ...

რამდენი ელირებით?...
 — ორი მანეთი...

— ორი მანეთი - იმეორებს მუშტარი.

— აი მეგობარო, — მომმართავს იგი — ორ
 მანეთად შეიძლება სიყვარულის სყიდვა...
 თქვენ კი... რომანტიკოსები ლეგენდებსა ჰქმ-
 ნით სიყვარულისას...

რა მიიღო ჰომიროსმა, შექსპირმა, რუს-
 თველმა დიადი სიყვარულისგან გარდა იმისა,
 რასაც იძლევიან ეს ფარვანები ორ მანეთად...
 და გაიცინა...

სამარის სუნთქვასავით შემადრწუნებელი
 იყო ეს სიცილილი...

— მაშ წავიდეთ და შესანდობარი შევსვათ
 მათი, როპელნიც გამოიმწირნენ რაღაც იდეა-
 ლურ სიყვარულის ლოდინში მაშინ, როდესაც
 მხოლოდ ორ მანეთად შეიძლებოდა გაბედნი-
 რება, — სთქვა უტიფრად და გამოიმეშვიდობა...

— წავიდეთ, წავიდეთ...
 ათაშანგისაგან გამოზრულ ქალებმა შუაში
 ჩაიყენეს ყოფილი ადამიანი და გასწიეს...

საყრმის მეგობრებზე თხილხელ ჩაკიდე-
 ბული მიდოდნენ ეს ნანგრევები ოდინდელ
 პიროვნებისა და მესმოდა როგორ დამკინოდ-
 ნენ გამოფიტული სიცილით...

დ. თურდოსპირელი.

სიცოცხლის მაისი.

დღეს ჩვენს ეკრანზე იხატება ახალი ყოფნა,
 თვით ცის კიდურით მოიქარგა ცეცხლის ზო-
 ლებით

ქვეყნის ცოდვები გადარეცხა სისხლმა და
 ოფლმა

ისმის ძახილი: „ჩვენ დევებსაც შეგებობოლე-
 ბით“.

ო, თავგანწირულ მილიონთა რკინის მკვლა-
 ვებმა
 ცეცხლის რკალებში მოამწყვდის ძველი სამ-
 ყარო;

მიწას დაეტყო საშინელი ფერისცვალება,
 ვინ გაემქცევა ჯამთა სბროლის უღმობელ კა-
 ნონს?!

სიცოცხლს მაისს ესალმება აღმოსაგლეით,
 დასავლეთში ხომ სტიქიონი ძალზე ბობოქრობს
 მიაცუნებენ რწმენის რაშებს იქ ჩვენი ძმები...
 დახმარებისთვის ხელს უწვდიან ანთებულ
 მოსკოვს.

მრავალთა სისხლით შეიღება ეს საუქუნე,
 ვინ დააყურებს მსოფლიოში ბობოქარ ვულ-
 კანს?!

ო, ეს დროება თვით მკვდრებსაც კი სულსა
 უბრუნებს,
 შრომის არმია განახლების, ბრძოლის მარშს
 უქრავს.

ტყეისმფრველმა მძიმედ დასკრა ღამის ლან-
 დები,
 ოქტომბრის რაში გასაფრენად ფაფარს ივარ-
 ცხნის

იწვის ბნელეთი საშინელი ცეცხლის ანთებით,
 აჯანყებულნი მიიწვივენ მარცხნივ... და მარ-
 ცხნივ.

მილიონთ ნებამ შეარყია მიწის გლობუსი
 და ძველი ღმერთი ჩაიძირა დღეს სისხლის
 ზღვაში,
 თუ ჩვენს მძლავრ სურვილს აღვირს ვსდებ-
 დით ჩვენ თვითონ გუშინ,

დღეს გასაფრენად ემზადება ფოლადის რაშით.
 ო, რა კარგია სული ჩემო წინ გაქანება,—
 ვარდისფერ დროში ჩვენს შორეულ მზეზე
 ზემი—

და სიკვდილამდი ბრძოლის ქინის ცოცხლად
 ტარება—
 (გაუტეხელი ნების ყოფა ჩვენი ლენინის.)

სიჭგი სიტყვა მტკიცე, გებულული ცეცხლის
 გრივალს

გადაუქროლე თავზე კარპატს და პიმალაის;
 დე, ძველმა მოდგამმა, რამდენიც სურს, ცრემ-
 ლები ღვაროს,
 ოლონდ მსოფლიო ტაშით შეხვდეს სიცოც-
 ხლის მაისს.


კ. ფედოსიაშვილი.

გუშის სიფლავა.

შრომაა დიად სხივთმფენი,
 ამ ქვეყნის მაღლად ცნობილი;
 შრომით იცხოვრებს მარადის
 ყოველი კეთილშობილი.
 ვისაც რომ შრომა არ უყვარს,
 თავისი ოფლით დაჩინა,
 ბარგია საწუთროსია,
 კრულ იყოს მისი გაჩენა.
 რას ვაქნევ თერთსა ხელებსა,
 თუ პირი გექმნა შავია;
 არ შევიყვარებ მე იმას,
 არ მოკვდეს ჩემი თავია.
 ხორცი ვასუქო, ვალადო,
 სული დაეავლო ობლათა,

ვით ტვირთი, ვირთა საწიდი,
 ვეთრიო ამა სოფლათა?
 სეავი როდივარ პირლია,
 სხვის ოფლით ვიკვებბოდე,
 სხვისა ტანჯვით და წამებით
 მხეცი მხეცურათ ვსტკებბოდე?
 კაცი ვარ, ადამიანი,
 ქკუთი მაღალი ცხოველი,
 უნდა ვშრომობდე დღე დღამ.
 გულ მკერდი მქონდეს სოველი,
 რომ გამოვკვებო ცოლშვილი
 ჩემისა ნაოფლარითა,
 არ მომიგონოს მყობადმა
 ცუდათ და სიტყვით მდარითა.

გ. შინაგებელი.



მარტინ ანდერსენ ნეკსე.

უცნობი ქალი.

ჩემი თავგადასავალი კონსტანციაში დაიწყო. მე ჩავიდი იქ მიუნქენიდან, რომ დავმტკბარიყავო ბადენის ტბის სილამაზით, რომელიც უჩვეულო შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩვენზე, ჩრდილოელებზე... დავეხეტებოდი ქველი ქალაქის ვიწრო, დამშვიდებულ ქუჩებზე და მშვენივრად ვგრძნობდი თავს.

ერთხელ როგორც შევედი საპარფიუმეო მალაზიაში საპნის საყიდლათ. ჩემს გარდა იქ აღმოჩნდა ერთი მყიდველი ქალი—რაც განსაკვირვებელი იყო მაშინდელი დროისათვის; ომბა და რევოლოუციამ ძლიერ დასცეს ვაქრობა.

ეს იყო ახალგაზრდა ქალი. ის ოდნავ თავდახრილი იყო და არჩევდა ღუბით სავსე პატარა ბოთლებს. ტანთ გაცვეთილი ტანისამოსი ეცვა, ისე როგორც ყველას იმ დღეებში; ნაცრის ფერი ედგა—დიდი ხნის ნახევრად შიმშილობის გამო— ისე როგორც ყველას იმ დღეებში. მიუხედავად ამისა, ის ლამაზი იყო. სიმშობისა და გაკვირებისაგან მის სახეს უფრო მკვეთრი გამომეტყველება მიელო და ეს ფანტანსტიურ ხასიათს აძლევდა მის სილამაზეს, გვეგნებოდა თითქოს მის სულს სურს განთავისუფლდეს სხეულისაგან და მოვიტხროს უსახლგრო ტანჯვის შესახებ.

ბევრს სწვრდენ და ლაპარაკობდენ უკანასკნელი ომის შესახებ, მხოლოდ გერმანელი ქალი სდუმდა დღემდე. ოდესმე, როცა ეს მას შორეული წარსულის ამბებთან მოეჩვენება, ქვეყანა გაიგებს თუ რა არის უსახლგრო ტანჯვა და სიღალღე სულისა.

იმ დროში ისევ გამოჩნდა საქონელი მალაზიებში. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა ერთი მალაზიიდან მეორეში და სტკბებოდა გამოფენილი საგნების შხერით. მათ საყიდლათ ფული არავის ჰქონდა.

ახალგაზრდა ქალი მიინც შევიდა მალაზიაში. ნოქარს გადმოალაგებინა საქონელი. სხვა და სხვა ღუბები, რომლებიც კი მოიპოებოდენ მალაზიაში, ელაგა მის წინაშე. ახალგაზრდა ქალი აიღებდა ფლაკონს, დაჰყნოსავდა და ისევ დადებდა. განსაკუთრებით დიდხანს ეჭირა ხელში ერთი საოცარი ფლაკონი—თითქოს გაიტაცა მისმა ცქერამ.

რალაც იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებდა, რომ ღუბების შესაძენად მას ფული არ ჰქონდა, მოუთმენელი ნოქარებთან თითქმის არ მალაგდენ, რომ ისინიც ამ აზრის არიან. მაგრამ მყიდველი ქალი ამას არ ამჩნევდა, ის საქონელის თვლიერებაში იყო გართული.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ახალგაზრდა ქალს ღუბი უნდოდა, ფეხსაცმელები გაცემთილი, ქუსლი ძერებოდა; მისი პალტოს ადგილი ძველი ტანსაცმელების მალაზიაში იყო: უზარმაზარი ჯიბეებს პირი დაელოთ—მე შემდეგო ჯიბის ფსკერი დამენახა: რა საშინელი სიკვალერება!

თუმცა იმ დროში ისეთი დაფლეთილი ტანსაცმელი არავის არ აკვირებდა: ყველანი ასე დღიარებოდენ.

ვინ იყო ეს უცნობი ქალი, რომელიც საშინელი სინამდვილის პირობებში მოექანებოდა ოცნების ქვეყანაში?

ბოლოს და ბოლოს მეც,—მაგალითით გატაცებულმა,—დავიწყე სურნელოვანი წყლებით სავსე პატარა ბოთლების თვლიერება უთხარი ნოქარს გაეხვიათ ის საოცარი ფორმის ფლაკონი, რომელიც ასე დიდხანს ეჭირა ქალს ხელში.

შემუშენველად ფლაკონი ქალის ჯიბეში ჩავდევი, შემდეგ საპნის ავირჩიე, ფული გადავიხადე და მალაზიიდან გამოვედი.

ამით გათავდა ყველაფერი.

* * *

მაგრამ მოგონება უცნობი ქალის შეხვედრის შესახებ მოსვენებას არ მაძლევდა. თანდათანობით ახალგაზრდა ქალის სახე, მისი ტანის მოყვანილობა გაჰქრა ჩემს მეხსიერებაში, მაგრამ ყოველგან ხალხში მეღანდებოდა მისი ტანჯვით და მწუხარებით აღსავსე გამოხედვა.

და ბოლოს ესეც გაქრა. გჰქრა ჩემი ბუნდოვანი ოცნება, მკაცრი სინამდვილე დამეუფლა. ნახევარი წლის შემდეგ მე ისევ შეიხდი უცნოდ ქალს.

აი როგორ მიხდა ეს.

მე დიდი ხნის ჩამოსული ვიყავი კონსტანციიდან ისევ მიუნქენში.

სამკურნალოდ ვიყავი ჩამოსული და ძალაუნებურად უძლებდი მარტობას. იშვიათად დავდიოდი ქალაქში, იშვიათად თუ ვინმე მოვიდოდა ჩემთან. სიფრთხილე იყო საჭირო იმ დღეებში: ოდესღაც თავისუფალ ბავარიში!) სრულიად უმინშენლო საქციელსაც შესაძლებელია ძლიერ ცუდი შედეგები მოჰყოლოდა უცხოელისათვის. მძიმე დრო იყო, რეაქციამ გაიმარჯვა და თავის მძიხე ქუსლ ქვეშ მოაქცია პროლეტარიატი. ქალაქში გამეფებული იყო დაქორავებული ჯარების, სტუდენტებისა და გიმნაზიელების დიქტატურა. მათი შეიარაღებული ბანდები დაძრწოდენ ქალაქში და ყველგან, სადაც კი ორ-სამ მუშას დინახავდენ ერთად, ჰუნტავდენ რეზინის მათრახებით.

მაგრამ ნელ-ნელა, შემუშენველად მზადდებოდენ ახალი ძალები. იმ დროს, როცა პროლეტარიატის ძველი დარაზმული არმია სუსტდებოდა, გამბედაობას კარგავდა, მის ადგილს იკებდა სულით ძლიერი ახალგაზრდობის რიგები.

ეს ბავშვები—რომლებიც გაიზარდენ ომის დროს სიმშობაში, უპატრონოდ, ქუჩაში—წელში გასწორდენ და ახლა გვერდში ამოუდგენ ამხანაგებს, რომლებიც ეს არის წაქცევის აპირებდენ. ყოველგან ქუჩებზე გამოდიოდენ ეს ახალგაზრდა მუშები და ამბობდენ თავის სიტყვას იმ დროს როცა ძველი და გამოცდილი მეთაურები მეთაურები სდუმდენ.

ამ ახალგაზრდობას აღმაცერად უყურებდენ: ისინი ეწოდენ თამბაქოს, აწყობდენ „საიდუმლო კრებებს“, პოლიცია ყველაფერს ამას უყურადღებოთ სტოვებდა, რადგან ეს უკეთესი იყო, ვიდრე მათი პოლიტიკაში ჩაბმა.

*) ავტორს მხედველობაში აქვს საბჭოთა ბავარია. რ. გ. პეტ.

შრომის ნებარება.

დაკარავს ჟამი და მისი ფიქრი გაქცეული. მოვა ვით ეული, მოვა ძლევის ხმაზე. მოვა როგორც სფინქსი ღამით დარჩეული, ჩაკრულ-ჩახეველი მარადისობაზე.—

და მომავლის ბედსა მისცემს ხსნის იმედსა!..

და დაღვენთილ რკინას ცეცხლში ამოვლებულს, წითლად აელვებულს გასქედს მუშის ხელი, გასქედს... გაახურებს უროს აღმოდებულს, ძლევიტ გაბრწყინებულს ვით მესია მხსნელი.—

და ქვეყნად დაღვება, შრომის ნებარება!..

ბესარიონ პელაშვილი.

ერთხელ მე ვიჯექი სკამზე ინგლისურ ბაღში. ვილაც ჩამოჯდა სკამზე ჩემს გვერდით. მე ყურადღება არ მივაქციე და ჯოხის წვერით სილას ვიჩქინედი.

უცებ ჩემ ცხვირთან მოიტანეს რალაც საგანი—გასაოცარი ფორმის ფლაკონი. მე შევეკრთო მოულოდნელობის გამო და პირი მოვიბრუნე. ოჰ, ეს მწუხარებით აღსავსე თვლიე-ბი... ის!

უკეთესად გამოიყურებოდა. უკეთესადაც ეცვა ჩემმა დაზნევამ გააცინა.

— როგორც იქნა!—სთქვა მხოლოდ ქალმა.

— მ.შ. ეს თქვენა ხართ?—ვკითხე მე სიხარულითა და თან ვაკვირვებით.—მაშ თქვენც იმედი გქონდათ, რომ ერთმანეთს შეხვედებოდით?

— მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელიც მოხარული იქნება განახოს შენ.—წყნარად სთქვა ქალმა.—რასაკვირველია, მეც ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ერთმანეთს შეხვედით,—აჩქარებთ დაუმატა მან, როცა შენიშნა, რომ სახეზე უქმყოფილება დაამეტა.

— მოხარული იქნება მნახოს მე?—ვკითხე ისევ.

ქალმა გაიღიმა. —ჰო, პელლე.

მე განცვიფრებაში მოვედი.

საიდან მიცნობს? ვინ უთხრა მას ჩემი სახელი? ვინ არის თვითონ ეს ქალი? ათასი კითხვები მივეკი.

ის დამშვიდებით მისმენდა მე. შემდეგ უბრალოდ მოითხრა.

— წამოდი ჩემთან. ჩემი ქმარი ავით არის. შენთან შეხვედრა გაამხნევებს მას.

მაშ ეს ქალი ქმარიანია?!

— ბავშვებიც გყავთ?—მე ვერ გაგებდე ამხანაგური „შენ“-ობით მელაპარაკნა.

— დიად, ამხანაგო. ბიჭი. და იცი რა ჰქვია მას? პელლე... ახლა კი წაივადეთ. მხოლოდ თითუღლმა თავთავის გზით. არავინ არ უნდა დაგვიხანოს ერთად. წად ტრამვისა გასაჩერებელ ადგილთან და დაუტადე ნომერ ორს. მეც მოვალ. როცა დინახავ, რომ ვაგონიდან გადმოვედი, გამომყევი უკან.

ჩვენ წავედით შორს, მუშათა უბანში—შეაბლინეში. უკანასკნელ სადგომზე ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა. ის მიდიოდა ჩემ წინ, ახოვანი, ახალგაზრდა და ლამაზი. ჩვენ გავიარეთ საქმარო დიდი მანძილი. მივედით ერთ დიდ დაუთმავრებელ სახლთან.

(დასასრული იქნება).

მოცრო თავის ქალა.

გასტრონომიულ მალაზიის ვიტრინასთან სდგას ქალი... სდგას ქალი და ანათებს თვალეებს... რას?!... ოკეანის ამდღორებულ ზვირთებს თამაში აქვთ მის მომცრო თავის ქალაში...

(თავის ქალა-ეს ხომ ის ყუთია, რომელშიაც ინახება დედამიწის დასაყრდენი წერტილი არქიმედისა.)

დაბრაწული გოქები და ინდაურები ვიტრინიდან იცინიან...

იცინიან და თვალს ტაცებენ ქალს...

ვერ მოშორებია ვიტრინას ქალი...

ქაჯი ფიჭვები ყალყზედ დგანან მის მომცრო თავის ქალაში...

მომცრო თავის ქალა—ვიტრინაა ჰაოსის და გაკვირვებით ნიშნების!!!

მდიდარ მალაზიების წინ გაშლილ ტროტუარზე უზრუნველად სეირნობს ხალხი...

სეირნობს ხალხი და მის ათასფერად აზილპიპილტულ გრძობათა სერებს ეალერსება ელვისის ჩქერი...

ელვისის ჩქერი ბატონობს ყველგან.

შეზარბოშებულ საღამოს ჯადოს გრძობს ტროტუარზე მოფუსფუსე ქალი და კაცი...

ქალი და კაცი...

რა ჭრელია გაგება მათზე!...

რა ჭრელია გაგება მათი!...

ყური დაუგლოთ:

— ბედნიერება მოვიაპოვე... მეფედ ვგრძნობთა...

— ყველა ჩემს მიზნებს მივალწიე... ბედნიერი ვარ...

— დღეს ისეთ ყოფაში ვარ, რომელსაც მხოლოდ ოცნებით თუ წარმოვიდგენდი...

— ვინა სიქვა ამათა ცხოვრებაო!... ტყვილია... ცხოვრება ყველაფერია... სიცოცხლე დაუფასებელია...

მძულს პესიმისტები... სკეპტიკები...

— გაუმარჯოს სიცოცხლეს—ბედნიერებას...

— შეხედეთ რა მშვენიერია ამ საღამოს ტფილისი?

— ტფილისი ჯადოა დღეს და ჩვენს სულსაც დამთვრალს უკვადების შარბათით, რალაც არა ამ ქვეყნიურ სიმფონიას უმღერის.

— მეფეა ცხოვრება და მეფე ვართ ჩვენც...

— გაუმარჯოს ტფილისს—მეფეთა გვირგინს...

— ზურგი შეუქცევია მომცრო თავის ქალას გასტრონომიულ მალაზიის ვიტრინასთვის... უყურებს ხალხს...

უცქერს ტროტუარზე მოფუსფუსე ქალებს და კაცებს... უსმენს მათ ქებათა-ქებას ცხოვრების მიმართ, უსმენს ბედნიერებით დამთვრალ სულის ზღაპრულ ათვალთმაქცებას...

უსმენს და...

გაუგებრობით ივსება მამცრო თავის ქალა... ბრაზით და ცოფით იცვლება გაუგებრობა...

გამბდარი, მაგრამ მზით დამწვარი-ჯანმრთელი სახე-ხატება მომცრო თავის ქალას...

მზით დამწვარი ჯანმრთელი სახე—პროპოტესტს აცხადებს ქვეყნის წინააღმდეგ...

თუ მომცრო თავის ქალა საესეა ჰაოსით და გაკვირვებით ნიშნებით, მზით დამწვარი ჯანმრთელი სახე გამოსახეა ამ გაკვირვების.

ზიზლი, პროტესტი და გულის წყრომა აი, რას ხატებს ქალის სახე ამ ბრბოთა მიმართ.

იმით მიმართ, ვისაც მოტყვილებით და ცბიერებით ხელთ უგდიათ გასაღები ბედნიერების.

იმით მიმართ, რომლებმაც სხვის ცრემლზე და დანადგენ სისხლზე ააგეს თვისი განცხრომა და კეთილ-დღეობა.

თავის პატარა, მაგრამ რკინასავით მაგარ მუშტს კუმშავს მომცრო თავის ქალა.

ნეტავ ქონდეს მას ძალა, რომ თავის პატარა რკინის მუშტის ერთი დარტყმით გასრისოს ეს ამაღენა ხალხი ტროტუარზე ეგრე ბედნიერებით რომ ხითხითებს ეხლა...

ნეტავ შეეძლოს მას მოსპოს, გაანადგუროს ეს ხორც-მეტნი ჩვენი ცხოვრების.

ნეტავ შეეძლოს მას აიჭრეს აი იმ ტელეგრაფის ცად აწვდილ ბოძზე და იყვიროს, იყვიროს ხმა მაღლა, რომ მთელმა ქვეყანამ დაინახოს ამ მის წინ მოფუსფუსე მატლების უაზრობა, ამაოება...

ნეტავ შეეძლოს მას შეეპარდეს თუ გინდ აი, იმ განსტრონომიულ მალაზიაში და გამორეკოს იქიდან ყველა ის ღიპიანები და ოქროს ბეწვიანები, ეგრე თამამად რომ ყიდულობენ დაბრაწულ გოქებს. ნეტავ შეეძლოს მას მიეპარდეს და თავის პატარა, მაგრამ რკინის მუშტით დაამსხვრიოს ყველა ეს მალაზიები, ყველა კაფე-შანტანები; აყაროს ტროტუარი; ჩააქროს ელექტრონი და ცეცხლი წაუქიდოს მთელს ქალაქს განცხრომისას და გოდებისას.

მომცრო თავის ქალა... ქალი...

რა ბედნიერი იქნებოდა ის მაშინ.

რა სიამაყით იტყუოდა ის მაშინ

— დიხ, ცხოვრება არ არის ცივი და ცარიელი...

— სიცოცხლე ბედნიერებაა...

— მეც ბედნიერი ვარ...

შუბლი უხურს ქალს.

სტივია თავი მომცრო თავის ქალას...

ავარვალეზული-მზით დამწვარი ჯანმრთელი სახე ანარეკლია გულის წყრომის, აღშფოთების... თვალეები ცეცხლით აქვს სავსე და შურის ძიებით აკვებს გამვლელთ...

პატარა რკინის მუშტი მაგრამ მოკუმშა და მოსივინეთა ჯგუფში შეერია...

რა უცნაურია მომცრო თავის ქალა ამ მდიდრულად მორთულ ღიპიანებში...

რა საბრალოდ გამოიქვირება მისი ძველის ძველი და ცრეცილი ტან-საბურველი...

პალტო—ეს ხომ ის მანქანაა, რომლის საშუალებითაც ეგრე დასეირნობს ცივი ქარი სუს-

ხიან ზამთრის... მიდის მომცრო თავის ქალა... მიდის სახლში...

შხხ. შახ შხუ—გაიშხუილა ავტომობილმა... — ვინ არის?!..

შხხშხუ—გაიშხუილა ავტომობილმა... — ვინ არის?!..

შხხშხუ—გაიშხუილა ავტომობილმა... — ვინ არის?!..

ძლიერნი ამა ქვეყნისა!

ძლიერნი ამა ქვეყნისა...

ალბად სადმე საქეფოდ მისწრაფიან... ალბად სადმე უცდით მათ კაბარე, ქალები და შამანიური...

ალბად სადმე უცდით მათ ორგია და ეაქბანალია...

შხხშხუ—გაიშხუილა ავტომობილმა. — ვინ არის?!..

შხხშხუ—გაიშხუილა ავტომობილმა... — ვინ არის?!..

— „სოცილისტი“ მთავრობის თავმჯდომარე და პრეზიდენტი...

მინისტრები და მათი ამქრები... ხა—ხა—ხა—ხა...

რად ხარხარებს მომცრო თავის ქალა? რას ნიშნავს ეს სიცილი ისტერიული?!

უკაცრაოდ: — მზით გადამწვარ ჯანმრთელ სახეს არ შეშვენის ისტერიკა...

უკაცრაოდ... ის იცინის მხოლოდ... იცინის...

მომცრო თავის ქალა მიდის ბინისკენ... მისი ბინა შორსაა—ნაძალადევიში.

ბინა?!—ოჰ, ბინა...

რა უყუთ მერმე თუ ის სარდაფია და პატარა თხუნელას ხოროსავით...

რა უყუთ მერე თუ ის ნესტიანი, ცივი და ბნელია...

სამაგიეროთ ისაა მისი ბაღდადი...

სამაგიეროთ იქა ყავს მას თავის ქალ-ვაფი... ოჰ! ქალვაფი... ერთი ხუთის და მეორე სამი წლის...

იქა ყავს მას აგრეთვე მოხუცი დედა... მოხუცი დედა მუდამ, რომ ევლებს თავს ცელქ შვილიშვილებს...

ოჰ, და მიდის თავის ბინისკენ მომცრო თავის ქალა...

ნაძალადევიში, რომ მივა იქ მის ბინის ახლოს მეფურნე კარაპეტას, კიდევ გამოართმევს ნისიად ორ გირვანქა მქადს და თავის შვილებს და მოხუც დედას გაახარებს...

რია, ე ქარი ეგრე, რომ ზმუის?!!

ჯერ კიდევ ნოემბერია და ასეთი სიცივე?!!

სიცივემ აიტანა მომცრო თავის ქალა...

გაცრეცილი, ფანჯრებიანი პალტო ოდნავათაც არ აკავებს სუსხიან ქროლვას...

ცივა მომცრო თავის ქალას...

ეტლები და ავტომობილები კი, წინდა უკან მიმოპქრადნ.

მოგრუხუნებს ტრამვაიც...
ერთი მანათი მინც მისცა, რომ ტრამვაიში
ჩაუდღეს და ამ ცეც ქარს აცდეს?!

რას ამბობ მომცრო თავის ქალა?!
შენ, რომ ჩაუდღე შიგ, მაშინ რის ბატონები
იქნებიან ის ღიბანები და ნაზი „მადონები“?!!

ე, ვინ არის იმ კუთხეში თავ შეყრილი?!
რაა ეს ხმაური, ლანძღვა-გინება...
თავზარი ეცემა მომცრო თავის ქალას...
მის წინ შეძავთა გროვავა...
მეძავთა გროვავა ქუჩის ბიჭ-ბუჭებით გარს
შემორტყმული...
მომცრო თავის ქალა... ზოგიერთს კიდევ
ცნობილობს..

— აი, ეს კატოა...
— ეს ქსენია...
— ეს კი მართა...
ცნობილობს მომცრო თავის ქალა...
შარშან, როცა ის თუთუნის ქარხანაში მე-
შაობოა ესენიც იქ იყვნენ... პატიოსან და ერთ-
გულ მუშა-ქალებათ ითვლებოდნენ.
მის ამხანაგებათ იყვნენ...
კიდევ მეტი, უყვარდათ კიდევ ერთმანეთი,
როგორც მეგობრებს...
ნამეტურ კატო იყო მისი კარგი მეგობარი...
ლამაზი, ბეგითი და მუყაითად მომუშავე
კატო...
ეხლა კი...
ამას რას ხედავს?!
ნუ თუ ეს კატო?!
გადა მომცრო თავის ქალი...
გულ-ამღვრევით უტყერის მათ...

კატო ერთ ვიღაცა უცნობს ეხვევა... თმა
აშლია... მკერდი გაუღებდა და ძუძუები გაღ-
მოუყრია... ქსენიას სახე დაბრუტია და პირზე
ღორბლ-შემოყრილი მის წინაშე მდგარ დაბალ
ტანიან აგინებს... მართა სიმთვრალის გამო

ხან ერთს ეხვევა ხან მეორეს.
თავს ეერ იკავებს...
სხვები?!...
სხვებს უსირცხვილოდ უხვევიან ვიღაც თმა-
წვერ ვაბუძგულნი და ვაქონილ პალტოებში
გამოხვეულნი...
მაშ ხუხე ძმობილო!
მაშ ხუხე...
იწყებს კატო და მას ბანს აძლევს სხვებიც...
ნოემბრის სუსხიანი ქარი კი, შორს მიაქრო-
ლებს ამ ღრიანცილის საშინელებას...

...მომცრო თავის ქალა კი...
ეს რა არის მომცრო თავის ქალა?!
ფერი წაუგვლია...
— ადამიანის ნიშან-წყალი არ გადღეს სახეზე...
გული გიწუხს?!
რითი?! საშინელებით?!
არა უშვას, ასე იცის შუალამის ნოემბრის
ქარმა...
სახლში წადი, დაივიწყე ყველაფერი...
გებრალემა კატო, ქსენია, მართა და ყველა,
ყველა?!
უპ! რა დროს სიბრალულია, როცა სიკვდი-
ლი ცელი დაფარფატებს თავს მთელ მსოფ-
ლიოსს!!

— რაო?! გეზიღებთ?!
ოპ! ეს უფრო კარგია... დიახ, ზიზღი უფრო
კარგია
კარგი საქონელია...
ქალი მიდის ბინისკენ...
მის მომცრო თავის ქალაში ყალყზე დგები-
ან სუსხიან ზამთრის შავი ფიქრები...
მზით დამწვარი ჯანმრთელი სახე—პროტეს-
ტია კაჟი ფიქრების...

კარაპეტასთან მოკრძალებით შედის მომც-
რო თავის ქალა...

— რაო, კიდევ ნისიად?! არ შეიძლება...
— კარაპეტ მხოლოდ მკადი ორი გირვანქა...
— ფული?!
— მოგკემ ხვალ-ზეგ...
— არ შეიძლება...
— აბა რა ვქნა, სიმშლით მეხოცება ბავ-
შები...

— ო, მათხოვარო! იცოდე თუ ხვალ არ მო-
გიტანია მილიციონერებს დაგასეგ...
და ჩასუქებული, თვალ სისხლიანი კარაპეტა
აუწონლად აძლევს ორ ნატეხ მკადს...

— მომცრო თავის ქალა, ბედნიერი ხარ!..
ხა-ხა-ხა-ხა...

ეს ვინ არის მეფისტოფელივით რომ და-
ხარხარებს თავს მზით გადაწვარი ჯანმრთელ
სახეს?!..

ეს ვინ არის რომ დასცინის რკინის-მუშტი-
ანს?...
— ხა-ხა-ხა-ხა...
— ზიზღი შენ ავო სულო შუალამისა...

მომცრო თავის ქალა ჩადის სარდაფში...
— დაიძინეს?!
— ოპ!—წამოიკენაღებს ღედაბერი...
— უნდა გავაღვიძოთ... ეშობათ... ცოდვა
არინა...

მომცრო თავის ქალა იკრავს გულში უდრო-
ვო გაღვიძებით ატირებულ ბავშვებს...
— მომცრო თავის ქალა ბედნიერია?!
— ხა-ხა-ხა-ხა...
— ვინაა, რომ ასე ხარხარებს?
— ზიზღი შენ ავო სულო, შუალამისავ...
— მომცრო თავის ქალა უბედურია?!
— ვინაა, რომ ამას ამბობს?!
— ჩუმად...

პეტრე სამხონიძე.

მ ო წ ო ლ ე ბ ა .

(უცხოელ მუშაების სიმღერა)

თქვენი სიმღერე, ოქრო, ხვევრდი
ფუფუნება და მთელი სიკეთე,
ჩვენის ოფლით და ჩვენის ჩაქუჩით
თქვენ შეგიკმენით, თქვენ გავიკეთეთ.
გადაიხედეთ ღარიბთ უბნებში,
სადაც ვეება ქარხნები ქშინავს,
მუდამ მრისხანე და ვაკვარტლული,
იქ მზის სხივები ჩვენთვის არ ბრწყინავს.
იქ, ჯოჯობეთში, საშინელ ტანჯვით
შრომაში სულს ლეგს ადამიანი,
ოფლით და სისხლით პურს ეძებს ხალხი—
დღონებულნი და სევდიანი.
სიმღერე, ლხინი, ოქრო, ხვევრდი,
ფუფუნება და ზეიმი თქვენი,
ჩვენ შეგიკმენით ოფლით, ჩაქუჩით,
გაქირვებით და დაკოერილ ხელით.
მიღით და ნახეთ ბეილი სარდაფი,
მიწური ნესტი, გაუშრობელი;
იქ ყველგან მეფობს სიკვდილის ლანდი,
შემშლით სულს ლეგს ხალხი—მშრომელი.
იქ ღლე და ღამე შეუჩერებელი
რკინას სქედავენ მძლე ჩაქუჩები;
მუდამივე ზრუნვით გამოფიტულნი
დაზგებთან სდგანან შავი მუშები.
თქვენი სიმღერე, ოქრო, ხვევრდი
და ღლე რომ სცხოვრობთ თქვენ ფუფუნებით,
ჩვენ შეგიკმენით ოფლით, ჩაქუჩით

განუწყვეტელი შრომით, მონობით.
თქვენ გამაძარნო და კმაყოფილნი,
შეხედეთ რკინის წალკატი ხელში,
დავიწყებული, ცივ მალაროში
მიწას რომ სთბრიან მუშები ბნელში.
მათ სულს უხუთავს ავი ბნელეთი,
ირგვლივ სიჩუმე სამარის ვგარი.
მტვერი და შრომა ფილტვებს აქლექებს
და ძირს ეცემა მშრომელი მკვდარი.
თქვენი სიმღერე, ოქრო, ხვევრდი
და ღლე რომ სცხოვრობთ თქვენ ფუფუნებით
შეგიკმენით ჩვენი კუბო-ჩაქუჩით,
განუწყვეტელი შრომით, მონობით.
ვინ გამოსთხარა ეს გვირაბები
და გამოსჩევა ულრანი ტყენი,
ვინ შეაღია უდაბნოებში
გზების კეთებას სიცოცხლის ღღენი?
ვინ იყო ის, რომ მძლე ოკეანე
მონა ვახანდა კაცთა ნებისა—
და ადამიანს დაუმორჩლა
რუხი ტალღები შორი ზღვებისა?
თქვენი მეფობა ბუნებებს ძალზე
ფუფუნება და ოქროს სირმები,
შეგიკმენით ჩვენის ცრემლით, შიმშილით,
ჩვენის ოფლითა და გაქირვებით.
ვინ ააშენა სასახლეები
სიმშვენიერით ყველგან ნაქები,

სათქვით, ვისმა შრომამ აავო ქვეყნად
გრძელი ქარხნები და ქალაქები?
ის საქონელი თქვენ რომ გიწყვიათ
ვის მიერ არის დანამზადები?
მასზე ვშრომობდით ჩვენ ღლე და ღამე
და თქვენ წაიღეთ, არამზადებო.
აღსდექ მშრომელი, გამოდი გარედ
ბნელ და ნესტიან სარდაფებიდან—
და მოითხოვე სწორი პასუხი
შენი მძარცვევი ავი მტრებიდან.
გამოდი გარედ, ტანჯულო ხალხო,
დაკოერილ ხელით, შავი ხალათით,
შემშლით სხეულ გამოფიტულო
ღროა დასაჯო შენი ჯალათი.
გამოიღვიძე ხალხო ძლიერო,
გეყოფა ტანჯვა და დამცირება—
და ვინც გახრობდა შენ მრავალ წლობით
ღლე საუკუნოდ გაიწირება.
შენ გეკირვება თავისუფლება,
ძმობა ერთობა თანასწორობა,
უნდა დაიმსხვრეს რკინის ჯაჭვები,
უნდა მოისპოს ქვეყნად მონობა.
აღსდექ მშრომელი, აღსდექ ტანჯულო
გამოდი გარედ სარდაფებიდან—
და მოითხოვე მკაცრად პასუხი
შენი მძარცველი ავი მტრებიდან.

ვილოცვისეზური.

(სააღდგომო საჩუქრის მსბამსად)

შესავალი.

დღეს მე დეკრეტის არ მომიწევს,
 ვხედავ, დაწერა,
 რადგან აღდგომა ცხრამეტ აპრილის
 წელს ყველას სჯერა!
 სარწმუნოების საქმე ჩვენში
 იმზომ მოგვარდა,
 რომ საყდრებს ყველა პატივსა სცემს,
 ხუცების გარდა.
 ხუცებს კი, ვისაც წვერი უკვე
 აქვს განაკრები,
 თავს რომ კარგათ გრძნობს უსაყდროთაც,
 არ უნდა ეჭვი.
 ვისაც არა და, ის სულ ჰფიქრობს
 ამ გაკრეპაზე.
 უმღვდლოთ კი რჩება: ძირს-საყდრები
 და ღმერთი—ცაზე...

საგარეო მიმოხილვა.

დიდიხანია მე „ზურგს ვაქცივ
 ძველ ადათ-წესებს“,
 მხოლოდ აღდგომის პასკას ვერ ვსთმობ
 და წითელს კვერცხებს.
 არ ვიცი, რაა მათში ეგზომ
 ანდამატური,
 რომ გამჟღადარია მათგან ჩემში
 სიხარბე მღვდლური?
 მართალი არის, მარტო ჩემთვის
 არ მინდა ყველა,
 ჩამოვარიგო უნდა ირგვლივ
 წელსაც ვით ძველად:
 (ზოგს მიულოცავ ნაჭრობით და
 ზოგს კი—მთელ-მთელად!..)

იმპერიალისტ ქვეყნებ შორის
 ინგლისი თაობს,
 არ არის არც ზღვა, არც ხმელეთი,
 ეს რომ არ დაობს.
 მეც სააღდგომო პასკაზე რომ
 არ დამეცილოს,
 დე, ყლაპი უქნას მან სულდანს და
 მდინარე ნილოსს.
 სიტყუასაც მიეცემ არ ვუხსენო
 არც მეფე ცუდათ!
 მთლად „მეფის გვირგვინს“ არ ვაგდებ არც
 „რედისკის“ კულდათ!..

ინგლისის შემდეგ, ანტანტაში
 საფრანგეთია,
 ვისაც უნდოდა ძლიერ რუსი
 რომ დაეთრია,
 (გასუქდა მაშინ, თავის კანში
 ვერ ჩაეტია!)
 დღეს პოლონეთშიც ბადეს ჰქსელავს
 და აგებს მახეს,
 უმუქველია ემუქრება—

ჩემს პასკის ნატებს!
 არ ვუტებ, მაგრამ, ვიცი, არის
 მოუსვენარი
 და არ მომაკლვებს ღრენას, როგორც
 ძალი, მკბენარი!
 უკვე ლორივით დაითრია
 იმან ერროი!
 (ამას რთავს ყველას პუანკარე,
 ის ბებერიო!)
 ასე ამბობენ, თუმცა „ხმებით“
 პალატაც ძუნწობს!
 სჩანს, დღეს ამას ხელს ევროპაში
 „სხვა სიოც უწყობს!..“

მე რუმინეთის ხსენებაც კი
 ტანში მაკრეოლებს:
 ვინ იცის, რა დროს ჩავიკრავს ხელს
 და... „შეაყოლებს?!“
 მისდევ შემდეგ მას უკან და
 უძახე: „ჯიკი!“
 „კინი ანტანტაში“ ეს ყველაზე
 თულია ბიჭი!
 მას არ ასცდება ჯიბვირობის
 სნება და ქუჭუკი,
 მიტომ, სჯობს, ბლომთა გადფუარო
 კვერცხის ნაქუჩი!
 დე, შიგ იქექოს მოყვარულმა
 საშოფარისა...
 „ამან შარისგან“ მეზობელი,
 მსგავსი, კარისა!..

ამერიკასაც მოგუხადო,
 მსურს შორით კეკვი;
 თუმც არ მწამს მისი არც ღმერთი და
 არც ოქროს კერპი.
 არც ცნობა მისგან დიდათ რამეთ
 მეპიტანებება,
 არც ფლოტი მისი, დრედნოუტებ
 წყალქვეშ ნაგება.
 მხოლოთ, გამოგუტყვე, მხიბლავს მარტო
 ექ ერთი ფორდი!
 აი, როს ჩვენში აყვავდება
 ტყე-ველი, კორდი,
 კარგია მაშინ გაქანება...
 ახ!... არა ტვინის,
 არამედ ფორდის გალაქული
 ავტომაშინის!..

მშვიდობით, ფორლოცი, ნიუიორკოცი,
 ლონდონ-პარიზო!
 მოგშორდე ერთი ყველას თვალით,
 მიგეფარიზო,
 ან შინაურებს უნდა ჩემგან
 მისალამება.
 თორემ არც კვერცხი და არც პასკა
 არ მემეება!..

მიმოხილვა საშინაო.

ვნახო პირველად უნდა მიხელ
 ადამაშვილი,

ვის რომანითაც დღეს ყველა
 ნერვებ-აშლილი
 და სიმპატიაც ზოგის—ჯაყო,
 ზოგის—კვაჭია,
 იმის გაგუნას ვერ ასცდა ვერც
 კურდღლის ბაჭია!
 სწერის ყოჩაღდაც! მასთან ამ მხრივ
 ფორდი... რა ფორდი?
 დღეს ჩვენში იმან გადაყლაპა
 წერის აკორდი!*
 გამომცემელთაც კარხედ ადგას
 „ორჩერედები!..“
 მეც ავერ „კვაჭი“ გავისტუმრე...
 „კვაჭს“ ველოდები!..

ერთი სიტყვითაც მსურს ვახსენო
 დღეს „პროლეტარია“
 ოხ!.. ჩვენნი დღენი, როგორც ტალღა
 სწრაფია სწრაფი!..
 პროლეტ-მწერალთა ამ ეამად სულ
 დაირღვა ფრონტი:
 დღეს ივლიანეც აღარ შერჩა,
 სღვას მარტო ყრფნტი!..

„აშ-ხაშ“-ის მწერლებს, სჩანს, რომ უჭირთ
 ამ ქესატ ღროში:
 აღარც ჯიბეში-რამე, ქვე. არც—
 ზე, ფუტუროში!

ციხფერ კანწელთა, პატარა სახლს
 ჩემი საღამი!
 სამი მაგიდა!.. ორი სკამი!..
 ერთი კალამი!..

„ვნახო თეატრი და ცხოვრება“
 და... იოხები.
 „ძმაო“ შევეკითხავ: „რას აკვლები?
 რად იოხები?“
 ვიცი წინდაწინ, შემომწყურება,
 გაგულსიდება...
 მაგრამ აქ კითხვა თავისთავად
 მაინც ისმება:
 მოხუცდა კაცი, ვსთქვათ, ლუქმასაც
 კი ყურში იღებს,
 სად გაგონილა, სხვებს უხდიდეს
 ის პანაშვილებს?!

მე „ტარტაროზის“ აქ მომინდა
 უცბად ხსენება,
 ჯერ მსურდა ჩემთვის გვერდის ავლა
 და მოსვენება.
 მაგრამ ვსთქვი: „რატომ?!. აქ კი ენამ
 რისთვის იმუნჯოს?!
 დე, იარსებოს ამ ფურნალმაც
 და იოხუნჯოს!..“

აჰა, განზრახვაც: „უნდა ვნახოთ
 პროვინციოლო,

* რუსულად: побил рекорд.

აყალ-მაყალი და ინტრიგა
იქ იციანოა!..
მეც ვეთანხმები, თეთონც ბევრჯერ
გამომიციდია,
თუმც ყველას გაბსწვდე, — ძნელი კია
ჩემო ბიძია!..

დღისით ჰო, კიდეც სინათლეა
და ზეერავ ქუჩებს,
მაგრამ ღამით კი ვერ გაარჩევ
ვერც ფარნის შუშებს,
და უნებლიეთ სიზნელისთან
ეს გაძმობილებს,
რომ სადმე თვლებ ქვეშ არ მოექცე
ავტომობილებს.
ამ დროს ისინი სულ ქალებით
დატვირთულია!
საკითხი ესე, როგორც ვხედავ,
იზომ რთულია!
რომ მის გადაჭრას ვერ უშველის
ვერც ერთი ზომა,
რადგანაც... „ქალი რას არ შეისძლებს,
თუ მოინდობა“!..

მე ხარბი გულით არ მკირს სხვებზე
რომ ვთხზა „დანოსი“,
მაგრამ რა ექნა, თუ ვარ მზვერავი
მთლად მიდამოსი,
და ისე ვხედავ ჩვენს ქვეყანას,
ვით ხელის გულზე!
მსურს ერთხელ „ჩისტკა“ კვლავც მოვაწყო
ამ გაზაფხულზე;
ნებმან — ნებაჩებს დავერიო,
ვით შავი კირი,
რათა სიავის ამოვავლო
ყოველგან ძირი!
(ეპ არც იმდენი ვაყაყი ვარ,
რამდენსაც ვყვირი!..).

ჩვენში ბევრია მოხელე, თუ
მოჩინოენიკე,

ამით უწყალოთ დაუფუკებლავ
სულ კულის რიკებს!
ვიცი, ვერც ერთი ვერრას მკადრებს
საყვედურებით
როს, კალმების წილ, აღეკუთავ მათ
ქიანურებით
(ვაი, სირცხვილო!.. მსურდა მეთქვა:
დაპანდურებით!..)

აქ უწინარეს მივმართავ მე
თემკომ — გლეხკომებს
და გაუშპართავ იქ „მოხელეთ“
ისეთსავ ომებს!
ვით თვით ნებსით, თუ უნებლიეთ
უმართვენ გლეხებს,
რაც ჩვენს ცხოვრებას ამძიმებს და
ასე აფერხებს!

ვაქრობის საქმემ ჩვენში ცოტა,
მგონი, იკეთა:
კერძო საეპრო, ვხედავთ, ბევრი
გამოიკეტა,
მაგრამ შედეგათ, ვსთქვათ, რა მოჰყვა
ამ საქმეს მარტივს?!..
სიტყვა ეძლევა პასუხისთვის
კოოპერატივს!
ვიცი, რომ ღირსად შეიფერებს
იგი ამ პატივს!..

ინტელიგენტთა ჯარი ჩვენში
ერთობ დიდია
სულ მათზე ითქმის: „ქონებაზე
ქამა ჰკილია!..“

მასწავლებლობაც ნაწილია
ხომ ამ ჯარისა?
ის სულ მშვიერი და მთხოვენლი
არის ფარისა!

ბევრს... ოჰ, „ბევრს გულს სწყეტს ამ წუწუნის

მათგან მოსმენა“!..
ერთიც მათაც რომ აღარ ძალუძსთ,
მეტის მოთმენა?!

სკოლის და სწავლის საქმე ამჟამ
გვარდება თითქმის
და **ნარკოპროსზე** სამღურავი,
ვფიქრობ, არ ითქმის.

ცოტა სასწავლო წიგნთ საქმე, სჩანს,
აწყენილია:
რა უფრო სწორი, ვსთქვათ: **წრებაზი**,
თუ **წრეწირია**?!..

პროვინციაშიც გადაიქროლო
უნდა ელანძე,
რომ ოზურგეთში ვინახულო
ვანო ხელაძე.

„რასა იქთ, ძმაო?!“ შევკითხავ და
გავდგები განზე,
და თუ მან სიტყვა ჩამომიგდო
„ნაცნობ საგანზე“,
ჯერ ვარწმუნებ, რომ მოთმინებით
დავუგდებ ყურსა,
შემდეგ ფხუტუნით კი ავიკლებ
მელექელურსა!..
წამილე, გრძნობავ, გულში ქარბათ
შემონახულოქ..

მაგრამ შენ... შენ კი ამ საგანზე
რას **იტყვი, გულზე**?!
ბევრზე, ეჰ! ბევრზე მსურდა კიდეც
კბილის მოლესა
მაგრამ ისედაც ვხედავ ამ გრძელს
ეპისტოლესა
აქ წერტილია საჭირო და
შევატე ტენისა!..
რას იზამთ ძმანო მე ვარ **კაცი**
ღისციპლინისა!..

ნიანგი.

(*გ. ჯიბორჯი*)

მ უ ს ი კ ა

ახალი ქართული ოპერა

„ვეფხვის ტყაოსანი“.

ახალგაზრდა მუსიკალურმა მოღვაწემ ლეო
ფალიაშვილმა, რომელმაც დაამთავრა თბილი-
სის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზი-
ციის კლასი, დასწერა ახალი ქართული ოპე-
რა „ვეფხვის ტყაოსანი“, რომელიც წარსულ
წელში დასკვნისათვის წარემდგინა სპეციალუ-
რათ არჩეულ მუსიკალურ ჯიურის.

ჯიურის წევრების დიდმა უმრავლესობამ
ახალგაზრდა კომპოზიტორის ნაწარმოები აღი-
არა სერიოზულ და დიდ ნაშრომათ მუსიკა-
ლური შემოქმედების სფეროში, მაგრამ შესა-
ძლებლათ არ სცნო ოპერის დადგმა სახელ-
მწიფო ოპერის თეატრის სცენაზე იმ დრომდღ,
სანამ ავტორი ისე არ გადაამუშავებს თავისი
ოპერის მუსიკალურ შინაარს, რომ ის ყოველ
მხრივ შეეფერებოდეს შოთა რუსთაველის ცნო-
ბილ პოემის გრანდიოზულ შინაარსს.

გამოთქმული იყო აგრეთვე აზრი იმის შე-
სახებ, რომ ოპერა არ არის დაწერილი წმინ-
და ქართული ნაციონალური სტილით. ამ რი-
გათ, ოპერა არ იქნა მიღებული დასადგ-
მელათ.

შოთა რუსთაველის გენიალური პოე-
მის მოქმედება სწარმოებს არაბეთში და ინ-
დოეთში, ამიტომ აქ უადგილო არ იქნება
საერთო აღმოსავლეთური კოლორიტი მუსიკა-
ში, რაც სჭარბობს კიდეც ოპერა „ვეფხვის
ტყაოსანი“.

სამწუხაროა, რომ აღნიშნულმა ოპერამ ვერ
ნახა რამზის სინათლე, რადგან მხოლოდ სცე-
ნაზე გამოიარკვეოდა ოპერის როგორც ღირსე-
ბა, ისე ნაკულულებანება.

ახლათ დაარსებულმა მუსიკალურმა საზოგა-

დობამ „ემორ“—მა გადაწყვიტა გააცნოს ოპე-
რა საზოგადოებას ფართო საკონცერტო შეს-
რულებაში და დაწერილებით ამზადებს მას
თავის ესტრადაზე დასადგმელათ.

ოპერა შეიცავს ოთხ მოქმედებას, რომლე-
ბიც დანაწილებულია შეიდ სურათათ. ოპერა
იწყება უვერტიჟურით, რომელიც დაწერილია
წმინდა სონატური ფორმით. უვერტიჟურაში
სჭარბობს მელოდიები, რომლებიც ახასიათე-
ბენ ოპერის მოქმედ პირებს და მათ ურთი-
ერთობას. ასეთი მუსიკალური ტენდენცია გა-
ტარებულია მთელს ოპერაში.

უვერტიჟურის შემდეგ მიდის მოკლე მუსიკა-
ლური სურათი „პროლოგი“, რომელიც გამო-
ხატავს იმ მომენტს, როდესაც შოთა რუსთა-
ველი თავის უკვდავ პოემას მიართმევს თამარ

მეფეს. ეს სურათი დაწერილია რეჩიტატივე-ბის და კანტილენის ფორმით (მღერის შოთა რუსთაველი-ლირიული ტენორი; გუნდი ქებას ასხამს ქართულ გენიოსს და თამარ მეფეს).

პირველი მოქმედება იწყება ოპერის გმირების ტარიელის (დრამატიული ტენორი) და ნესტან დარეჯანის (დრამატიული სოპრანო) შეხვედრით. სიყვარულის სცენა დახასიათებულია ტარიელის მუსიკალური მონოლოგით, რომელიც თავდება გრძელი სასიყვარულო დუეტით; დაწერილია აღმოსავლეთური კოლორიტით და ლირიულ ტონებში.

შემდეგ მოქმედებებში ვითარდება პოემის გმირები: რომანი, ტარიელის და ნესტან დარეჯანის ყველა დამატებითი ურთიერთობით და დრამატიული შემთხვევებით (ცდა ნესტანის იძულებით გათხოვებისა სპარსეთის პრინცზე, წინააღმდეგ მისი გრძნობისა ტარიელისადმი, ტარიელის მიერ პრინციის მოკვლა და ნესტანის დრამატიული განცდა). მთელი ეს სცენა დასურათებულია ლამაზი მელოდური მუსიკით, რომელიც დაწერილია აღმოსავლური კოლორიტით.

სცენიური მოქმედება ცოცხალია, მისიურ სცენებში ჩართულია გრძელი და მრავალფე-

როვანი ბალეტი (კაცები და ქალები). ბალეტის მუსიკა იცვლება ანსამბლებით—დუეტები, ტრიო და დიდი ანსამბლი გუნდის მონაწილეობით.

შემდეგ მოქმედებებში გადაშლილია განცდა ტარიელის, რომელიც დაეძებს თავის დაკარგულ სატრფოს—ნესტანს. მისი შეხვედრა მეორე გმირთან—ავთანდილთან, მათი ურთიერთობა და მისწრაფება ერთი მიზნისაკენ—უძველეს მოსტებონ ნესტან დარეჯანი. ეს მოქმედებაც აგრეთვე დასურათებულია მასიური სცენებით (ანსამბლი, გუნდი და ბალეტი) და თავდება სახეიმა აპოთეოზით.

მუსიკალური ნომრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტარიელის არია, მისი პირველი და მეორე დუეტი ნესტან დარეჯანთან, ციხეში დამწყვედულ ნესტანის ლირიული არია და ტარიელის და ნესტანის ფინალური დუეტი, მეორე აქტის საუცხოო პოლიფონიური ანსამბლი (სოლისტები გუნდთან ერთად). ლამაზია ყველა საბალეტო ნომრები და აპოთეოზი-პინი.

3. ბებუთოვი.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

მახსოვს გლეხი დიდ ქუჩაზე დაგლეჯილი ქალამნებით ნაზი იით ულოცავდა გაზაფხულსა მოწიწებით

მხოლოდ იმათ ვინც რომ იყვნენ სუფთად ჩაცმულ ჩაპრანჭულნი მე კი ყურსაც არ მივდებდა რადგან ვიყავ გამურული

მოუთმენლათ მოველოდი იქნებ სულმა იცხას სული მეც მაღირსოს გლეხმა მუშას მომილოცოს გაზაფხული

ჩვენი წილი გაზაფხული იმ დროს ჯერ არ მოსულიყო გლეხისათვის ქარხნის მუშა უცხო, უცნობელი იყო.

დღეს კი სხვაა ისიცა მცნობს მეც ცნობს ვით ძმას ვანუყრელსა ნაზი იით მომილოცავს და მეც ძმურად უწვიდ ბელსა.

ვაუმარჯოს ამ გაზაფხულს ორთა ძმათა შემაერთოსა ვაუმარჯოს გლეხებს, მუშებს, კელსა, გრდემლსა, ნამგალს, კვერსა.

შაქო ნავთლულელი.

ხ ე ლ ო ჰ ნ ე ზ ი ს ქ რ ო ნ ი ა .

გ ლ ე ხ ის ს ი მ ლ ა რ ა .

გავლესათ თოხი, ნამგალი ძმებო! კუთვნილი ჩვენია, მოეთოხნათ, მოემკოთ ყანები, ვარჩინოთ მთელი ერია.

ქარხნის მუშებსაც ვუგზავნით ჩვენ პური გემრიელია, რომ არ შეჩერდეს მქუხარე საფეიქრო და გრდემლია.

ისინიც მოგვაწოდებენ ნამგალ-თოხს, ნარმა-შალბესა და ჩვენ ამ ძმური კავშირით მტრებს დაუბნელებთ თვალებსა. იმ ჩვენს მოსისხლე მტარვალებს.. არ მივცეთ ლუკმა პურია.

და ეხლა იქნებ მაინცა გამოიბერტყუნ ყურია.

დაფიქრდებიან, იტყვიან: „მრჩენელი მთელი ერისა. მუშა და გლეხი ყოფილა, შიშის დამცემი მტერისა“.

ლახვარი ჩავსცეთ ჩვენს მტრებსა და განუგმიროთ გულია, ვანთავისუფლოთ ჩვენ ძმები თუ სადმე დაზაგრულია.

მაშ ჩვენო ძმებო! მუშებო! გაძლევთ ხელს, მოგვეტო ხელია და ძმურათ, ერთხანთ სუყველამ დაესძახოთ: დელი დელია.

მუშუაკელი: ანთიმოზ გურგენიძე.

უ ა ხ ო მ ა თ ი

ახალი თეატრი. მიმდინარე წლის იავარში ნიუ-იორკში გაიხსნა უზარმაზარი თეატრი, რომელშიაც მსახიობებისათვის მოწყობილია საპარიკმახეროები, ვანები სამრეცხაო, სამზარეულო, სასტუმრო ოთახი, სამკითხველო და სხვა.

ნიუ-იორკის თეატრების დახურვა. ნიუ-იორკის პოლიციამ გამოაცხადა, რომ ახლო ხანში დაიხურება ცამეტი თეატრი „ანტიმორალური“ პიესების დადგმისათვის.

ელეონორა დუზეს სახელობის სტიპენდია. იტალი-ამერიკულმა საზოგადოებამ დაადგინა შეჯგოვოს 25.000 დოლარი ელეონორა დუზეს სახელობის მუდმივი სტიპენდიების დასაარსებლათ.

ენრიკო ბოსი. გზაში გარდაიცვალა ამერიკიდან ევროპაში მიმავალი იტალიელი კომპოზიტორი ენრიკო ბოსი.

გოფმანის კონცერტები. მიმდინარე წლის იენისში პარიზში გაიმართება საქვეყნო ცნობილ პიანისტის იოსებ გოფმანის კონცერტები. ასეთივე კონცერტები გაიმართება ბერლინში.

ახალი ოპერა. მონტე-კარლოში დაიდგა ახალი ამერიკული ოპერა „ფაი-იენ-ფაი“, ცნობილ ამერიკელ კომპოზიტორის ოზეზ რეზინდისა ოპერა აგებულია ჩინურ მოტივებზე.

სარა ბეჯანის სახელობის ქალაქი-ბალი. პარიზში ეწყობა სარა ბერნარის სახელობის ქალაქი-ბალი. ეს ბალი საეციალურათ დანიშნული იქნება ხელოვანთათვის. ჯერჯერობით შენდება 100 სახლი.

ს ა მ ა რ ი კ ა

ტფილისის სახელმწიფო დრამა. ქართულმა სახელმწიფო დრამამ უკვე დაასრულა

სეზონი და ამ დღეებში გაემგზავრება პროვინციაში საგასტროლოთ. დას თან მიაქვს დასადგმელთ შემდეგი პიესები. „ლატავრა“, „მათრახის პანაშვილი“, „სინათლე“, „ვინძორის ცელქი ქალები“ და ცხერის წყარო.

სოხონივის გასტროლები. თბილისში ჩამოვიდა სახალხო არტისტი ლეონიდ სობინოვი, რომელიც აქ რამოდენიმე წარმოდგენას გამართავს.

ალ. იმედაშვილის მიწვევა. მსახიობი ალ. იმედაშვილი ერთი თვით საგასტროლოთ გაიწვიეს კუთხურის თეატრში.

ნინო ჩჩიძე. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ნინო ჩჩიძეს, სასცენო მალვაწიობის 30 წლის თავის შესასრულებლის გამო, მიენიჭა სახალხო არტისტის სახელი და დაენიშნა უმაღლესი ხარისხის მუდმივი პენსია.

ზაქარია ფალიაშვილის იუბილე. ზაქარია ფალიაშვილს, 12 აპრილს, გადაუხადეს მუსიკალური მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. მთავრობის დადგენილებით, მას მიენიჭა სახალხო არტისტის სახელი.

რეჟისორი ჯაბადარი. ცნობილი ქართველი რეჟისორი ჯაბადარი ამ ეჟამთ სტამბოლშია დმ მუშაობს სკანდინავიის კინო-ორგანიზაციაში. უკანასკნელ ხარეზში ის მასწავლებლათ მიიწვიეს მოსკოვის ერთერთ სტუდიაში.

იაკობი ორბელიანი. ამ ეჟამთ პარიზში სცხოვრობს ქართველი კომპოზიტორი ირაკლი ორბელიანი, რომელსაც მრავალი მუსიკალური ნიწარმობები აქვს დამზადებული სხვათა შორის მას დაწერილი აქვს 3 მოქმედებიანი ქართული ოპერა „გულნარა“.

ფატუმ. დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა შაჰრუხ ჩარკვიანის „ლექსების კრებული“ ფატუმ.

დავით პავლიაშვილის გარდაცვალება. 12 აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ჟურნალისტი დავით პავლიაშვილი („ნაპოლეონი“).

შკრაინული კაპელა. თბილისში ჩამოვიდა შკრაინული კაპელა „დუმკა“, რომლის კონცერტები გაიმართება თბილისის ყველა უბნებში.

ჯაყოს ხიზნები“-ს გმირების გასამართლება. ახლო ხანში თბილისში გაიმართება მიხ. ადამიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ გმირების გასამართლება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები. პოეტმა ი. გრიშაშვილმა დასაბეჭდათ გაამხალა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები საკუთარი რედაქციით და წინასიტყვობით.

ლონდა ფრანგულათ. ელენე ორბელიანმა ქართულიდან ფრანგულათ სთარგმნა გრიგოლ რობაქიძის პიესა „ლონდა“.

სიკვდილი“. პართენ ვოთუამ დასწერა ახალი პიესა—ლუგენდა „სიკვდილი“ საქართველოს ძველ ცხოვრებიდან.

ბასტილის აღება“. პროლეტკულტის თეატრის რეჟისორი ვახტანგ გარბიკი დასადგმელათ ამზადებს რომენ როლანის პიესას „ბასტილის აღება“, პიესა დაიდგმება 26 აპრილს.

ბაქოს მუშათა თეატრი. ბაქოს მუშათა თეატრი თბილისში აღარ ჩამოვა. სეზონის დამთავრების შემდეგ დასი მიემგზავრება ტაშკენტში.

მოზუუხინის გაწვევა. მომღერალი მოზუუხინი თბილისიდან საგასტროლოთ მიიწვიეს ტამკენტში ამისავის საოპერო თეატრში.

ახალი პიესა. ი. ეკალაძემ დასწერა ახალი ოთხ მოქმედებიანი პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან.

„ჯაყოს ხიზნები“ პიესათ. მიხ. ადამიშვილი—ჯავახიშვილი თავისი რომანის „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელებას სწერს პიესათ.

კვაკი კვაკანტირაძე“. დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა მიხ. ჯავახიშვილის შეიღკარანი რომანი „კვაკი კვაკანტირაძე“; წიგნი შეიცავს 480 გვ. და ღირს 2 მან. 75 კ.

„დაჰკრა საათმა“. ამ დღეებში თბილისის კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება საქართველოს კინო მრეწველობი ახალი სურათი „დაჰკრა საათმა“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ მიშა ჭიაურელი და კელიპატრა ჯაში.

„გაზი გაზის წინააღმდეგ.“ ამ ჟამათ თბილისის კინო-თეატრში აჩვენებენ აზერბეიჯანის კინო-მრეწველობის სურათს „გაზი გაზის წინააღმდეგ“, სიუჟეტი აღებულა სამოქალაქო ომის ისტორიიდან.

„ორი ობოლი“ ნოკლე ხანში თბილისში ნაჩვენები იქნება მსოფლიო რეჟისორის დავით გრიფიტის უდიდესი მიღწევა—კინო-სურათი „ორი ობოლი“, მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი ამერიკელი მსახიობი ქალები—დები დოროტეია და ლილიან გიშ.

ახალი სურათები“ საქართველოს კინო-მრეწველობის რეჟისორი ივ. პერესტიანი დასადგმელათ ამზადებს ახალ კინო-სურათებს: „შრომის ფრონტზე“ და „მემანქანე დუმჩენკო“. მეორე სურათში მთავარ როლებს ასრულებენ ნატა ვაჩნაძე და მიშა გელოვანი.

„მკედელი მიქაეა“. რეჟისორი ბეკნაზაროვი შეუდგა სურათ „მკედელი მიქაეა“-ს გადაღებას. მთავარ როლებში—ნატა ვაჩნაძე, ალისა ქიქოძე, მიშა ჭიაურელი და აკაი ხორავა.

ბაჩანას იუბილე. აპრილის ბოლო რიცხვებში განზრახულია მოეწყოს ცნობილი პოეტის ბაჩანას იუბილე მისი ორმოცი წლის სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

„მუზეუმის მოამბე“. იბეჭდება და მოკლე ხანში გასასყიდათ გამოვა „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. 2.

ს. სპენდიაროვის ჩამოსვლა. თფილისში ჩამოვიდა სომეხთა ცნობილი კომპოზიტორი ალექსანდრე სპენდიაროვი.

ს ს ო რ ტ ი.

სამეგრელოს ფეხბურთელთა ოლიმპიადა. ფოთის ფეხბურთურის საბჭომ დაადგინა მოაწყოს სამეგრელოს ფეხბურთელთა ოლიმპიადა, რის შემდეგაც გამოყოფილი იქნება სამეგრელოს ნაკრები გუნდი თბილისში, საქართველოს საერთო ოლიმპიადაზე.

საქარვის ნაკრები გუნდი. საქარვის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც წარსული წლის ნოემბერში ტფილისში იყო, მიემგზავრება ფინეთში იქაურ მუშურ გუნდებთან სათამაშოთ.

საერთაშორისო შეჯიბრი. 1925 წლის ივლისში ქალ. პრავაში (ჩეხო-სლოვაკია) გაიმართება მუშური ორგანიზაციების საერთაშორისო ჯომარდული შეჯიბრი. საქართველოს ფეხბურთურის საბჭო შეჯიბრებაზე გზავნის თავის წარმომადგენლებს.

ფეხბურთელთა კუთაისში. ამ ჟამად კუთაისში არსებობს ფეხბურთურის 14 წრე, 9 ფეხბურთელთა გუნდი და მოქალაქეთა წრე. ფეხბურთურის საბჭოს აქვს ორი მოწყობილი დარბაზი და ერთი მოედანი, რომელიც უსახსრობის გამო დღემდე მოუწყობელია.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი თბილისში. ახლო ხანში თბილისში ჩამოვა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც აქ გამართავს ორ შეჯიბრებას. თბილისიდან გუნდი გაემგზავრება ბათუმში, იქიდან კი სტამბოლში.

ახალი გუნდები. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდთან სათამაშოთ თბილისში არსებულ პირველი კატეგორიის გუნდებიდან შეიქმნა ორი ნაკრევი გუნდი, რომლებშიც შედიან საუკეთესო მოთამაშეები.

„ფიზიკური კულტურა“. გამოვიდა საქართველოს ფეხბურთურის უმაღლეს საბჭოს ყოველთვიური ჟურნალის „ფიზიკური კულტურას“-ს № 1. ჟურნალი ღირს 30 კაპ.

შეჯიბრი. მისის პირველ რიცხვებში თბილისში გაიმართება სრულად საქართველოს ფეხბურთურის მოვარჯიშეთა შეჯიბრი.

ახალი წიგნი. დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა გ. მერკველიძის ახალი ნაშრომი „უძველესი ქართული თამაშობა ღორობია“. წიგნაკი ღირს 10 კაპ.

ტანვარჯიშის კურსები. ბათუმში გაიხსნა ტანვარჯიშის კურსები, რომლის გამგეთ დანიშნა დ. ჯავარიშვილი.



„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“

მიიღება ხელის მოწერა მ ბ ი ს ი ს ბ თ ბ ი ს
მაისის განმავლობაში ხელის მოწერა უფასოდ დაუკრივდებათ:

- 1. ჟურნ. „ჩირალდანი“ (ორი ნომერი—9 და 10)
- 2. ჟურნ. „მეხნიარება და ტახნიკა“ (ორი ნომერი—9 და 10)

კონტორის მისამართი: რუსთაველის პრ. № 24 (მეორე სართული) ტელ. № 10-49